# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 9 ივლისი 2002 №125 (1647) | ფასი 50 თეთრი


# ვინ ჩაიცინებს ულვაშებში?

## ჩივაძეს რუსებს გაზაევი ჩამოუყვანს





გუშინ რუსული ფეხბურთის მამებმა ეროვნული გუნდის მწვრთნელად ვალერი გაზაევი დანიშნეს.

ქართული ფეხბურთისთვის გაზაევი არცთუ უცხო კაცია, ბოლოს და ბოლოს, ძველი დინამოელია და თავის „ალანიაშიც" მუდამ ქართველთა გადაბირებაზე ეჭირა თვალი.

მაგრამ ახლა გაზაევის ქართველთადმი კეთილგანწყობას მნიშვნელობა აღარ აქვს, 12 ოქტომბერს სწორედ გაზაევი ჩამოუძღვება რუსეთის ნაკრებს თბილისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სათამაშოდ და, ცხადია, თავისი შინაურულობისა და აქედან გამომდინარე, ქართულ ფეხბურთზე დაგროვილი ცოდნის ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოყენებას ეცდება.

# თეთრი ყვავები: რაც ვერ გააკეთეს მილიარდებმა, გააკეთა რიჩარდ უილიამსმა



ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან

მაშინ, როდესაც მთელი დიდი ბრიტანეთი 66 წელია, უიმედოდ ელის მასპინძელი ვაჟის გაჩემპიონებას, ისეთი ქვეყნების წარმომადგენლებს კი, როგორნიც მილიარდიანი ჩინეთი და ინდოეთი, ან ყოფილი საბჭოთა კავშირია, ერთხელაც არ უმარჯვიათ „ოლ ინგლენდ კლაბში", რიჩარდ უილიამსის ოჯახი უკვე ორი ტრიუმფატორით დაიკვეხნის — შაბათს სერენა უილიამსმა ჩოგბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო თავის ორგზის ჩემპიონ უფროს დაიკოსთან ბრძოლაში მოიპოვა.

უილიამსების ფინალის ხილვა მათი კოლეგების უმრავლესობას გუნებას კარგა ხნით წაუხდენდა — უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე მანდილოსნებს ასეთი ძალით ბურთი არასოდეს დაურტყამთ და არც ასე სწრაფად და გამალებით ურბენიათ. მაყურებლებს ხშირად გაოცების გმინვა აღმოხდებოდათხოლმე, როდესაც რომელიმე უილიამსი ნებისმიერი სხვა ქალი ჩოგბურთელისთვის აუღებელ დარტყმას იოლად მიუსწრებდა და არანაკლები ძალით მიაბრუნებდა უკან.

იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდები



REUTERS

სერენა უილიამსმა უიმბლდონზე სახელი უკვდავყო

# შეგულებული ბევრია, შეუღლებული არცერთი

## სიონი ევროპას ლაგოდეხიდან უყურებს



თემურ მახარაძე

**საახალსეზონო** სამზადისს განაგრძობს ბოლნისის „სიონი". ახლახან გაუწყეთ, რომ ბოლნისელები მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში სერიოზულ მიზნებს ისახავენ და მათთვის ტრადიციულად ქცეულ „ოქროს შუალედის" დატოვებას აპირებენ. საქმე ისაა, რომ „სიონი" ეროვნულ ჩემპიონატებში ყოველთვის სტაბილურობით გამოირჩეოდა — არც გავარდნა ემუქრებოდა და არც საპრიზო ადგილებისთვის იკლავდა თავს.

ახლა კი ბოლნისის გამგებელსა და „სიონის" საპატიო პრეზიდენტ ზურაბ ჯაფარიძეს ევროპა ამოუჩრია გულში. ცხადია, ევროთასების საგზურის მოპოვებაზე ფიქრი კარგია, მაგრამ ამისთვის სხვას რომ თავი დავანებოთ, შემადგენლობა მაინც უნდა გყავდეს ძლიერი. ჰოდა, დაიწყო — დავით დათვაძე, დავით ბაქრაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ჯონი შალამბერიძე, ზვიად კრავეიშვილი, რომეო გოგიტაძე, ზაზა კვეკვესკირი, გიორგი გაბიდაური... ამას დაუმატეთ პაატა ბარნოვი, თემურ ვოლკოვი, შალვა ისიანი, ბესიკ შენგელია, გიორგი ქორიძე და საქართველოს ჩემპიონატისთვის არცთუ ურიგო შემადგენლობა გამოვა. ამათ ფონზე „სიონიდან" არჩილ შაკიაშვილის, ზვიად პაპიძის, მამუკა მინაშვილის, მურმან გოგოლაძის, კახა გოდერძიშვილისა და კახა სიდამონიძის წასვლა მაინცდამაინც დიდ დანაკლისად არ უნდა ჩავთვალოთ. თუმც ისიც სათქმელია, რომ ჯერჯერობით ახალწვეულთაგან ოფიციალურად ერთიც არ ითვლება სიონელად. როგორც „სიონის" ტექნიკურმა დირექტორმა პეტრე დანელიამ გვითხრა, მათთან ჯერაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ყველაფერი მალე გაირკვევა.

ამასობაში თემურ მახარაძე გუნდს ბოლნისში ავარჯიშებს და ამხანაგურ მატჩებსაც არ აკლებს. ქვემოქართლელები ორჯერ თბილისის „დინამო 2"-ს გაეჯიბრნენ და ორჯერვე დაამარცხეს — 2:0 და 5:1. ბოლოს კი ასევე პირველლიგელ თსუ-თან მოსინჯეს ძალა და სტუდენტებიც ზედ მიაყოლეს — 2:1.

დღეს „სიონი" თბილისს ეწვევა და მუშტაიდში საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდება. ცხადია, ახალგაზრდულის თავკაცი ვახტანგ კოპალეიშვილი მეტოქეს უძლიერეს შემადგენლობას ვერ დაახვედრებს, თუმც ნაკრების კანდიდატთა გასასინჯად „სიონთან" გაჯიბრება ურიგო სულაც არაა. მატჩი 18 საათზე დაიწყება.

მეორე დღეს კი, დილით, ბოლნისელები ლაგოდეხისკენ აიღებენ გეზს, სადაც თემურ მახარაძის შეგირდები ორკვირიან შეკრებას გაივლიან.

**კახა შალამბერიძე**



ზაზა ჯანაშია

სერგო კოტრიკაძის და გია ჯიშკარიანის შეგირდებმა სულიკო დავითაშვილის გოლით 1:0 დაამარცხეს „იანტრა", ხოლო „ვიდიმას" დავითაშვილის დუბლით და ჯანაშიას გატანილით 3:2 მოუგეს.

*კვირაზე მეტია, თბილისური „ლოკომოტივი" ბულგარეთში ახალი სეზონისთვის ემზადება. ქალაქ ტრიავნაში, სასტუმრო „პანორამაში" დაბანაკებულმა ვიცე-ჩემპიონმა აქამდე ორი საკონტროლო მატჩი ითამაშა ბულგარეთის პირველ და მეორე დივიზიონის გუნდებთან და ორჯერვე გამარჯვებულმა დატოვა მოედანი*

# ჯანაშია იკლებს, ლოკომოტივი იგებს

პირველ მატჩში რკინიგზელთა სასტარტო თერთმეტეული ასეთი იყო: ***ივარდავა, ბალაშვილი, ორბელაძე, ლაცაბიძე, ონიანი, გოგიჩაიშვილი, სირაძე, გიორგი ქორიძე, ჭიჭველიშვილი, კაიდარაშვილი, ზ. ჯანაშია.***

მეორე თამაშში კი მწვრთნელებს შემადგენლობა დიდად არ შეუცვლიათ, მხოლოდ ბერელიძემ დაიკავა ჯანაშიას ადგილი, თუმც მეორე ტაიმში ახალგაზრდა ფეხბურთელს მწვრთნელებმა ისევ გამოცდილი ფორვარდი ამჯობინეს.

აღსანიშნავია, რომ სულიკო დავითაშვილი ორივე მატჩში შეცვლაზე შევიდა და გადამწყვეტი გოლებიც გაიტანა. ჯიშკარიანის თქმით, თამაშის საშუალება ორივე შეხვედრაში შეკრებაზე მყოფ ოცდაერთივე ფეხბურთელს ჰქონდა. თუ რკინიგზელთა ერთ-ერთი მწვრთნელის ნათქვამს ვერწმუნებით, ზაზა ჯანაშია თავდაუზოგავად ვარჯიშობს და წონაშიც სწრაფად იკლებს.

„ლოკომოტივს" მომდევნო მატჩი ზეგისთვის აქვს დანიშნული. მეტოქე კი, სავარაუდოდ, ისევ ბულგარული გუნდი იქნება.

**მამუკა ძგანტალიანი**

# ვიტ ჯორჯია ჯანზეა, ჟანი მადაზე

**ბელგიურ „ლოკერენთან"** საშინაო გამარჯვებით ნამუსმოწმენდილმა, მაგრამ ორი მატჩის ჯამში მაინც დამარცხებულმა „ვიტ ჯორჯიამ" ოთხდღიანი შესვენების შემდეგ მეთოთხმეტე ეროვნულისთვის მზადება დაიწყო.

სადღეისოდ „ნორჩი დინამოელის" ბალახისაფარიან მოედანზე კარნევალის მეთვალყურეობით ოცდაათამდე ფეხბურთელი ვარჯიშობს. სინიორ ჟანის ის მოთამაშეებიც დაუბრუნდნენ, კლუბს ინტერტოტოს გათამაშებაში რომ ვერაფრით შეეშველნენ. ჯაბა მუჯირმა, ზურაბ მეტრეველმა და სანდრო იაშვილმა ტრავმები საბოლოოდ მოიშუშეს და თანაგუნდელებთან ერთად მთელი დატვირთვით ემზადებიან.

„ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობა თითქმის არ შეცვლილა. ძირითადი ბირთვი ისევ ვეტერინარია, იმათ ოთხი თხუელი — გიორგი ბერიანიძე, დავით ჩოხელი, ერეკლე მერებაშვილი და არჩილ სოხაძე დაემატა. კარნევალის განკარგულებაშია რამდენიმე ფარმკლუბელიც, რომლებიც მწვრთნელის მოთხოვნით დიდ გუნდში ვარჯიშობენ.

ახალწვეული ჯერჯერობით ერთია, ზესტაფონის „მეტალურგის" აწ უკვე ყოფილმა მცველმა ლევან მერებაშვილმა ვიტელებთან ერთად ინტერტოტოს თასზეც ითამაშა. სულაც არ არის გამორიცხული, სულ მალე ვეტერინარი გახდეს „დინამოს" ნიჭიერი ფორვარდი კოკა მიკუჩაძე, რომელიც ხორვატი შუშაკის საგერმანიო სიაში ვერ მოხვდა. მიკუჩაძე დღეს ვიტელებთან ვარჯიშობს და თუ კლუბის წარმომადგენლებს ვერწმუნებით, მის გავეტერინარებას ბევრიც არაფერი აკლია. საბოლოოდ ეს ამბავი ორ დღეში უნდა მოგვარდესო, გვითხრეს ვიტელებმა.

„ვიტ ჯორჯია" ფინანსურ სიდუხჭირეს არასდროს შეუწუხებია. ამ მხრივ ვეტერინარული კლუბი ერთ-ერთი სტაბილურია საქართველოში. ორ დღეში უცხოური შეკრების დრო და ადგილიც საბოლოოდ გაირკვევა. სავარაუდოდ, ვიტელები თურქეთში, ტრაბზონის სიახლოვეს ივარჯიშებენ. 12-დღიანი შეკრებისთვის საჭირო თანხა კლუბს უკვე გამზადებული აქვს. ვიტელები თურქეთში 16 ივლისისთვის აპირებენ გამგზავრებას.

**მამუკა ძგანტალიანი**



ჟანი კარნევალი სათურქეთოდ ემზადება

# ბათუმი ყაბულსაა: აფხაზავა არსენალში



შალვა აფხაზავამ (№11) ბათუმს კიევი არჩია

**„ბათუმი"** რამდენიმე გამოცდილმა ფეხბურთელმა დატოვა, მეკარე გია ჭანტურია და ფორვარდი დავით ჯანაშია „ტორპედოში" დაბრუნდნენ, ზურაბ არჩვაძე სადღეისოდ რუსთავშია, ვახტანგ თურმანიძე, თემურ ტუღუში და პაატა მაჭუტაძეც წავიდნენ კლუბიდანო.

აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოვახერხეთ. „ბათუმში" არსებულ თუ მოსალოდნელ ცვლილებებზე არავინ საუბრობს. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ აჭარულ სარბიელზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და გუნდიც თურქულ შეკრებაზე აპირებს გამგზავრებას. დანარჩენზე კი ჯერჯერობით ბოდიშით, გვითვლიან ბათუმიდან.

როგორი იქნება „ბათუმი" მეთოთხმეტე ეროვნულში, ეს დღეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ახალ ჩემპიონატს ფორვარდ შალვა აფხაზავას გარეშე რომ დაიწყებს, ნაღდია.

საქართველოში 32 გოლის გამტანი ბათუმელი ფორვარდი ერთი ხანია, უკრაინაში გაემგზავრა სასურველი კლუბის საძიებლად. ეტყობა, იქაურებს ჩვენებური მოეწონათ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსიც მოვიდა. საფეხბურთო კლუბი კიევის „არსენალი" აფხაზავას სატრანსფერო ფურცელს ითხოვდა.

ეტყობა, ბათუმელებს არანაირი პრეტენზია არ გააჩნდათ. ამასვე მოწმობს ფედერაციაშივე გაგზავნილი წერილი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ „ბათუმს" აფხაზავასთან არანაირი პრეტენზია არა აქვს და იგი გათავისუფლებულია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აფხაზავას სახელზე სატრანსფერო ფურცელი გასცა. ასე რომ, დღეიდან შალვა „არსენალისთვის" გაიტანს.

აქვე შეგახსენებთ რომ „არსენალი" ის გუნდია, ადრე ცსკა რომ ერქვა და სადაც ვიტალი დარასელია და ლევან მიქაძე თამაშობდნენ.

უკრაინაში ითამაშებს აწ უკვე ყოფილი მრეტი თემურ ჭეჟიაც. ჩვენებური ბოროდიანკის „სისტემა ბორექსში" მოწყობილა და სატრანსფერო ფორმალობებიც საბოლოოდ მოუგვარებია.

ყოფილ მერანელებს — მიხეილ ფოცხვერიასა და ანდრეი მუხინს კი სატრანსფერო საქმეები გაუჯანჯლდათ. „ზარია-ლუგანსკი" საჩქაროდ მათ ტრანსფერს ითხოვს, მაგრამ დღემდე ეს საქმე ადგილიდან არ დაძრულა.

„მერანის" თავკაც ანზორ მამალაძის თქმით, ავჭალურ კლუბს არც ფოცხვერიასთან და, მით უფრო, მუხინთან არაფერი აქვს სადავო. უკრაინიდან შემოუთვლიათ, სატრანსფერო ფორმალობებისთვის საჭირო თანხას გამოგიგზავნით და ნუ დაგვაბრკოლებთო. მამალაძეც ყაბულსაა, მაგრამ მას შემდეგ არც ფული ჩანს და არც უკრაინიდან იტყობინებიან რამეს. „ზარია-ლუგანსკი" კი ის გუნდია, რომელსაც „მერანის" ჯერაც ოფიციალური მეპატრონე იური სევასტიანოვი მფარველობს.

**მამუკა ძგანტალიანი**




**იყიდება სასწრაფოდ!**

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი",

ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

ტელ: 22-23-15


**შვედეთი**

IX ტური

ელფსბორგი 1:2 ჰამარბი

გიოტებორგი 1:0 ჰალმსტადი

ლანდსკრონა 2:3 აიკ

**ფინეთი**

გადადებული მატჩი

ტამპერე 3:0 ინტერი

# გახოკიძე არ იყიდება
## გოგას მენეჯერი ჰიდინკის მეგობარია



გოგა გახოკიძე

**საქართველოს ნაკრების** ნახევარმცველის გოგა გახოკიძეს ჰოლანდიურ პსვ-ში ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს — მუნდიალის ტრიუმფატორი გუს ჰიდინკი.

კორეელთა ყოფილი თავკაცის ეინდჰოვენში ჩასვლისთანავე ითქვა, რომ კლუბი სამი ფეხბურთელის, მათ შორის, ქართველის გასხვისებას აპირებსო.

წუხელ კი, როცა ჰოლანდიაში თავად გოგას დავუკავშირდით, შევიტყვეთ, რომ ხმები მისი გაყიდვა-გასხვისების თაობაზე გადაჭარბებულია. გოგა გახოკიძის მენეჯერი პლუშმანი ჰიდინგის ახლო მეგობარი ყოფილა. პლუშმანს მწვრთნელთან, რომელიც გუნდს გუშინ შეხვდა და ორი კვირის შემდეგ დაუბრუნდება, გოგას თაობაზე უკვე უსაუბრია და, ჰიდინგის თქმით, ქართველი გუნდში დარჩება. ყოველ შემთხვევაში, გახოკიძე სეზონისწინა მოსამზადებელ პერიოდს პსვ-თან ერთად გაივლის.

ლესდლეობით ეინდჰოვენელებს ერიკ გერეტსის თანაშემწე და ჰიდინგისგან მოწონებული ერვინ კუმანი ხელმძღვანელობს. თავად მწვრთნელი კი გუნდს 20 ივლისისთვის ესპანეთში შეუერთდება.

**კობა ინასარიძე**

# ქინქლაძე დერბიში დაბრუნდა და სიტყვას ელის

**ინგლისის** პირველი დივიზიონის „დერბიდან" ასაბარგებლად გამზადებული გიორგი ქინქლაძე გუშინ კვლავაც ამ კლუბთან ერთად შეუდგა საახალსეზონო მზადებას. დერბელთა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ შეგირდები სწორედ 8 ივლისს დაიბარა და ვარჯიშიც განახლდა. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ქინქლაძეს პირველ დივიზიონში თამაში არ სურს და „დერბიდან" წასვლას აპირებს, ის წინასასეზონო შეკრებაზე დერბელთა შორის იყო და გუშინვე ივარჯიშა კიდეც:

— ჯერჯერობით სხვა კლუბებისგან რეალური წინადადება არ მიმიღია. ისევ „დერბის" შევუერთდი, მით უმეტეს, რომ ამ კლუბს კონტრაქტით კიდევ ერთი წლით ვეკუთვნი. ვიდრე რომელიმე ჩემთვის სასურველი, ამბიციური კლუბი არ მიმიპატიჟებს, იძულებული ვარ, აქ დავრჩე. ძალიან კი მსურს „დერბის" დატოვება, მაგრამ ეს ჩემი ნება არ არის — გვითხრა ქინქლაძემ, როცა დერბიში დავუკავშირდით.

ალბათ მოგეხსენებათ, გავრცელებული ინფორმაციით გიოს, რამდენიმე კლუბი იწვევდა, მათ შორის უეფას თასის შარშანდელი მფლობელი სტამბოლის „გალათასარაი", თუმცა ფეხბურთელი ამბობს, რომ მისთვის კონკრეტული წინადადებით ჯერ არავის მიუმართავს.

**კობა ინასარიძე**



გიორგი ქინქლაძე (მარცხნივ) ჯერ კიდევ დერბელია




## იყიდება უნიკალური წიგნები

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81


*ერთ დროს ქართველებით თავმომწონე ლატვიური „სკონტო" ჩვენებურებთან ერთად ეროვნულ ჩემპიონატში პოზიციებსაც თმობს. ბოლო დროს „სკონტოს" ქართული დიასპორა ხუთკაციანი იყო, მაგრამ გივი კვარაცხელიამ რიგაში ფეხი ვერ მოიკიდა და სამშობლოში დაბრუნდა. მას მალე მთავარმეგოლე დავით ჩალაძე მიჰყვა, რომელიც რუსულ პირველ დივიზიონში ყაზანის „რუბინს" შეუერთდა. „სკონტოს" დატოვებას აპირებს კაპიტანი და ლიდერი ალექსანდრე რეხვიაშვილიც.*

*ვინღა დარჩა? — ზურაბ მენთეშაშვილი და ლევან კორღალიძე. ახლა სწორედ მათ უნდა იქართველონ ლატვიაში. მერე კი... მერე ვინ იცის, იქნებ ხეირიან ევროპულ კლუბსაც გამოჰკრან ხელი. ყოველ შემთხვევაში, 22 წლის ლევან კორღალიძეს ამის ეიმედება*

# სკონტო უქართველებოდ?
## ლევან კორღალიძე რიგში დგას



— ჯერჯერობით არაფერს ვუჩივი. ყველაფერი კარგადაა. საბედნიეროდ, ტრავმებიც არ მაწუხებს. ასე რომ, სასაყვედურო არაფერი მაქვს.

**— ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად მეორე ადგილზე ხართ. ამას კი კლუბის ხელმძღვანელობა დადებით შედეგად ნამდვილად არ ჩაგითვლით.**

— რა თქმა უნდა. „სკონტოსთვის" ჩემპიონობის გარდა ყველანაირი შედეგი წარუმატებლობაა. თუმც ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერაც საკმაო დროა. ხვალ სწორედ ჩვენს კონკურენტ „ვენსტპილსს" ვხვდებით და ბევრი რამ ამ თამაშზეც იქნება დამოკიდებული.

**— მართალია, ოთხქულიანი ჩამორჩენა არც ისე დიდია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ვენსტპილსს" სტუმრად ეთამაშებით...**

— დიახ, სტუმრად მართლაც ძალიან გაგვიჭირდება. თუმც ამის არ გვეშინია.

**— ადრე „სკონტო" დიდი უპირატესობით ხდებოდა ჩემპიონი. ბოლო წლებში კი სულ უფრო გიჭირთ. თქვენი აზრით, ეს „სკონტოს" დასუსტების ბრალია, თუ...**

— ვფიქრობ, რომ სხვა გუნდები გაძლიერდნენ. ლატვიელები ძალიან დაინტერესდნენ ფეხბურთით და დაფინანსებაც შესაბამისად გაიზარდა. ამიტომაც მოგვიმრავლდა კონკურენტები. თუმც ისიც სათქმელია, რომ ჩვენგანაც წავიდნენ კარგი ფეხბურთელები. მარტო დავით ჩალაძე რად ღირს. მართალია, მათ შემცვლელებიც მოუძებნეს, მაგრამ ჯერ ძველებურ შედეგს ველარ ვაჩვენებთ. მაინც ვფიქრობ, რომ ლატვიაში ფეხბურთის დონემ აიწია. ეს ფაქტი ძალიან მახარებს. ჩემთვის უკეთესია, ძლიერ მეტოქეებს ვეთამაშო და მათთან დავამტკიცო ჩემი ძალა. აბა, 10:0-ს რომ გუნდს მოუგებ, ის რა ჩემპიონატია?

**— უკვე რამდენიმე წელია, ლატვიაში თამაშობ. უფრო კარგ ჩემპიონატში გადასვლას არ აპირებ? თუ ფიქრობ, რომ „სკონტოში" კიდევ გაიზრდები?**

— წასვლა კი მინდა, მაგრამ ეს მარტო ჩემს სურვილზე არაა დამოკიდებული. თან ახლა ნაღდად არ გამიშვებენ. ისედაც ბევრი ფეხბურთელი გაყიდეს. ალბათ, კოლინსნიჩენკოც მალე დაგვტოვებს. ის მოსკოვის „ტორპედოში" გადადის. ამიტომ, ვფიქრობ, ამ სეზონს ლატვიაში ჩავამთავრებ. მერე კი რა მოხდება, არ ვიცი.

**— ახლა ჩემპიონთა ლიგის მატჩებიც გელით და დიდი შანსი გაქვთ, ევროპულ კლუბებს თავი მოაწონოთ.**

— რა თქმა უნდა, ესეც დამატებითი სტიმულია. ჩვენი მეტოქე უელსური „ბარი თაუნია" და ვეცდები, მათთან თამაშში თავი გამოვიჩინო. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. თუმც ასეთი მატჩები ისედაც გვაქვს. ახლახან ერთ-ერთ ინგლისურ კლუბს შევხვდით ამხანაგურად. ამ კლუბს ლატვიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გარი ჯონსონი თავკაცობს. მატჩი 2:2 დასრულდა და ორივე გოლი მე გავიტანე. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია. ჩემი გარჯით მეც კმაყოფილი დავრჩი და მწვრთნელებმაც შემაქეს.

**— თქვენი აგენტი ვინ არის?**

— პირადი აგენტი არ მყავს. ოფიციალური ხელშეკრულება არავისთან გამიფორმებია. თუმც თუ რომელიმე კლუბის ვარიანტი გამოჩნდა, ალბათ, „სკონტოს" მენეჯერი მიხეილ ძოძუაშვილი დამეხმარება.

**— ბოლო ხანს თქვენს სათამაშო პოზიციასთან დაკავშირებით საკმაოდ არაერთგვაროვანი აზრები გაჩნდა. ზოგი იმასაც ამბობს, ალექსანდრ სტარკოვმა კორღალიძეს ადგილი ვერ მოუძებნაო...**

— ლატვიაშიც ასეა. ვერავინ გაიგო, რა ტაქტიკით ვთამაშობთ. ეს, თუ შეიძლება ითქვას, სტარკოვის ეშმაკური სვლაა. ბოლო თამაშებში სულ მცირე, სამ პოზიციას ვიცვლი. ბოლო ტურშიც ასე იყო. სხვათა შორის, იმ მატჩში საუკეთესოდ დამასახელეს. თამაში ჯერ შუაში დავიწყე, მერე მწვრთნელმა ბუიტკუსი შეცვალა და მის ადგილზე, მარჯვენა ფლანგზე გადამიყვანა, მოგვიანებით კი თავდამსხმელად გამამწესა. ამას უკვე შევეგუე და მივეჩვიე კიდეც. თანაც სტარკოვს ძალიან მოსწონს ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც სხვადასხვა პოზიციაზე თამაში შეუძლიათ.

**— ზურაბ მენთეშაშვილზე რას იტყვით?**

— „მენთეშა" გუნდის ლიდერია. აქ ძალიან უყვართ და აფასებენ. ის „სკონტოსთვის" დიდი ძალაა.

**— უკვე დიდი ხანია, ალექსანდრე რეხვიაშვილი გუნდიდან წასვლას აპირებს, მაგრამ ჯერაც „სკონტოშია"...**

— რეხვიაშვილს აქ რამხელა ავტორიტეტიც აქვს, ალბათ, თავადაც იცით. როგორც მითხრა, რაღაც ვარიანტებს ელოდება. შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ უახლოეს მომავალში „რეხვო" „სკონტოს" დატოვებს, თუმც მისი ახალი კლუბი ნაღდად არ ვიცი. მწვრთნელიც ასვენებს და მის გარეშე თამაშს გვაჩვევს. საბედნიეროდ, ტრავმა არ აწუხებს. მისი უთამაშებლობა მხოლოდ ახალი კლუბის ძიებასთანაა დაკავშირებული.

**— ესე იგი, „სკონტოში" ორნი რჩებით...**

— აქ ხომ სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ. სულ გაიძახიან, „სკონტო" უქართველებოდ როგორი იქნებაო.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# შუშაკმა ორი ქართველი გაცხრილა, ბრაზილიელებს კი მეორე ცდა შეჰყალობა

**გერმანული** შეკრების პირველი მატჩი თბილისის „დინამოს" ობერლიგის „ბრეტფელდთან" ჰქონდა და ათი უპასუხო ბურთიც მიართვა მეტოქეს. ორ-ორი გოლი რეინალდომ და ლადო ბურდულმა გაიტანეს, გიორგი მიქაძემ ჰეთ თრიქი მიითვალა, ხოლო მურილიო, ილია კანდელაკი და ირაკლი ებანოიძე კინკილას დასჯერდნენ. ჩვენებურებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *გვარამაძე (ზოიძე 46), შაშიაშვილი (კვირკველია 46), ვაშაკიძე (მანჩხავა 46), ამისულაშვილი (კანდელაკი 46), გოგობერიშვილი, სახვაძე (შავგულიძე 46), ბურდული (მურილიო 46), ანჩაბაძე (კარლოსი 46), რეინალდო (მაზიაშვილი 46), მიქაძე, ებანოიძე.*

როგორც „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძემ გვამცნო, დინამოელთაგან საუკეთესო გიორგი მიქაძე გახლდათ, რომელიც ივო შუშაკმა პირველ ტაიმში მარჯვენა ნახევარმცველად ათამაშა, მეორეში კი ჩვეულ პოზიციაზე — თავდამსხმელად.

მცირე ტრავმების გამო არ უთამაშიათ მიხეილ ბობოხიძეს, ირაკლი სამხარაძესა და ვიტალი დარასელიას.

რაც შეეხება „დინამოში" გასინჯვაზე მყოფ ბრაზილიელებს, ფორვარდი რეინალდო კარგ ფორმაშია, ხოლო გამთამაშებელ მურილიოს კი ეტყობა, რომ მოუმზადებელია, მაგრამ ერთობ ტექნიკური ფეხბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებსო — გვითხრა ლევან სალუქვაძემ და დააყოლა — შუშაკი ამ ბრაზილიელებს კიდევ ერთხელ, მომდევნო საკონტროლო მატჩში დააკვირდება 10 ივლისს რეგიონალლიგის „შტუტგარტ კიკერსთან" და რეინალდო-მურილიოს „დინამოში" დარჩენა-არდარჩენაც მერე და გადაწყდებაო.

შუშაკს „დინამოს" ქართველ ახალწვეულებზეც უთქვამს. მისი აზრით ლადო ახალაიასა და დავით კვირკველიას ახლავე შეუძლიათ გუნდის გაძლიერება, ხოლო ნუკრი მანჩხავა და ირაკლი ებანოიძე ჯერ ძალიან ახალგაზრდები, მაგრამ პერსპექტიულები არიან.

მესამე ამხანაგურ მატჩს „დინამო" პოლონურ „გროცლინთან" ითამაშებს 14 ივლისს, ხოლო სამი დღის შემდეგ „ფრაიბურგს" გაეჯიბრება. ასეთი განრიგი სპეციალურად შევადგინე, სუსტი მეტოქედან ნელ-ნელა უფრო და უფრო ძლიერებზე უნდა გადავიდეთ, „ბრეტფელდთან" მატჩი განტვირთვის საშუალება იყო „დინამოსთვის", რათა ფეხბურთელებს ვარჯიშების შემდეგ სახალისოდ ებურთავად, უთქვამს ბატონ ივოს.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი მიქაძე ჰეთ თრიქით გამოირჩა

*გუშინ რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასკომის სხდომაზე ცსკა-ს და ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ვალერი გაზაევი ერთხმად აირჩიეს ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად. გაზაევის კანდიდატურას აღმასკომის 24-ვე წევრმა დაუჭირა მხარი. ცალკე განიხილეს მისი კლუბიდან განთავისუფლების საკითხი. აქ ხმები გაიყო, ცსკა-ს პრეზიდენტ ევგენი გინერის განცხადებით, გაზაევი სეზონის ბოლომდე კლუბშიც იმუშავებს, იანვრიდან კი მხოლოდ სანაკრებო საქმიანობით დაიტვირთება.*

# გაზაევი თბილისში ბრუნდება

**ახალი მწვრთნელით** რუსები პირველ მატჩს 21 აგვისტოს, მოსკოვში შვედების წინააღმდეგ გამართავენ, მერე კი ევრო 2004-ის შესარჩევი ციკლიც დაიწყება და 12 ოქტომბერს თბილისში რუსები სწორედ გაზაევის თავკაცობით ჩამოვლენ.

ყოფილი მწვრთნელი, ოლეგ რომანცევი, ვისაც კორეა-იაპონიაში ჯგუფიდან გაუსვლელობის შესახებ უნდა ესაუბრა, აღმასკომზე არ მისულა და თავი მისმა თანაშემწე მიხაელ გერშკოვიჩმა იმართლა.

ბოლო დროს რუსეთში ნაკრების მწვრთნელის კანდიდატურის თაობაზე დიდი სჯა-ბაასი იყო გამართული. უმეტესობა უცხოელი სპეციალისტის მოწვევას მოითხოვდა, გვარებსაც ასახელებდნენ: დანიელ რიხარდ მოლერნილსენს, ბრაზილიელ კარლოს ალბერტო პარეირას, იტალიელ მარკო ტარდელის, სერბ ბორა მილუტინოვიჩს და ფრანგ ფილიპ ტრუსიეს. თუმცა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა თავიდანვე თქვა, უცხოელის მოწვევა გაუმართლებლად მიმაჩნია, თუ პირობებს შევუქმნით, ჩვენიანიც კარგად იმუშავებსო. რუსთა საფეხბურთო წრეებში კოლოსკოვის გავლენის ამბავი კარგად მოგეხსენებათ და რაღა გასაკვირია, რომ გაზაევმა ერთხმად გაიმარჯვა.

თავიდან კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ნიკიტა სიმონიანს მწვრთნელად ევგენი ლოვჩევის, ხოლო მენეჯერად ანზორ კავაზაშვილის გვარები დაუსახელებია, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ მსჯელობა გაზაევისა და „ლოკომოტივის“ დამრიგებელ იური სიომინის კანდიდატურებზე გაიმართებოდა. კამათი არ ყოფილა, ყველაფერი მალევე გადაწყდა. ჩვენმა რუსმა კოლეგებმა გაზაევის გამწვრთნელების ამბავი წინასწარვე იწინასწარმეტყველეს, მის მთავარ უპირატესობად კი იმას მიიჩნევენ, რომ ვალერი გეორგიევიჩი ფანატიკურადაა ფეხბურთზე შეყვარებული და თანაც ამბიციურია, კარგად ერკვევა ტაქტიკურ-სტრატეგიულ წვრილმანებში და შეუძლია გუნდი თანამედროვედ ათამაშოს. ის ხომ ერთადერთია, ვინაც თავის დროზე „სპარტაკის“ ბატონობა დაამხო და „ალანია“ გააჩემპიონა. მოკლედ, გაზაევს რუსეთში ენდობიან და ეიმედებათ, რომ არც ნაკრებში მუშაობისას შეირცხვენს თავს.

ჩვენთვის კი გაზაევი შინაური კაცია. ქართველებთან ის ყოველთვის მეგობრობდა და 1986-ში თბილისის „დინამოს“ თავდასხმაშიც გამოირჩეოდა რევაზ ჩელებაძის მხარდამხარ. მოთამაშეობისასაც ძალიან ჟინიანი და ტექნიკური იყო. ერთი ხანი მოსკოვის „დინამო“ მისით სულდგმულობდა. ეგ არის, 1979 წლის საკავშირო თასის ფინალში, ოთარ გაბელიამ გადამწყვეტი პენალტი სწორედ გაზაევს აუღო. თუმცა ხუთი წლის შემდეგ მოსკოვის „დინამომ“ თასის გადამწყვეტ მატჩში გაზაევის ორი გოლით მოუგო ლენინგრადის „ზენიტს“ და პრიზს მაინც დაეპატრონა.

ახლა წარსულის ამბებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გაზაევის „ალანიაში“ ბევრმა ქართველმა ითამაშა. ის თბილისშიც ხშირად ჩამოდიოდა და ჩვენი ნაკრების ლამის ყველა მატჩს ესწრებოდა. სექტემბრიდან კი ძველ დროს გაიხსენებს, საქართველოს რუსთა ეროვნული გუნდის თავკაცად ეწვევა.

**სოლომონ გულისაშვილი**

## ვალერი გაზაევი

*დაიბადა 1954 წლის 7 აგვისტოს. რუსეთის დამსახურებული მწვრთნელია.*

*ორჯონიკიძის (ახლანდელი ვლადიკავკაზის) „სპარტაკის“ აღზრდილია. ამავე გუნდში თამაშობდა 1970-73 და 1975 წლებში, 1974-ში კი როსტოვის ასკ-ში გადავიდა (პირველი საკავშირო ლიგა).*

*უმაღლეს ლიგაში სამ გუნდში უთამაშია: მოსკოვის „ლოკომოტივში“ (1976-78.), მოსკოვის „დინამოში“ (1979-85) და თბილისის „დინამოში“ (1986).*

*1984 წელს გახდა საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი. სსრკ-ის ჩემპიონატებში (1976-86) 283 მატჩი ჩაატარა და 89 გოლი გაიტანა. არის გრიგორი ფედოტოვის „ასიანთა კლუბის“ წევრი.*

*1976 და 80 წლებში საბჭოთა ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატი მოიგო. 1980-ის მოსკოვის ოლიმპიადაზე კი ბრინჯაოს მედალი ირგუნა. სსრკ-ის პირველ ნაკრებში (1979, 83) რვა მატჩი ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა.*

*მწვრთნელობა მოსკოვის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო (1986-88). იყო მოსკოვის „დინამოს“ (1991-93, 1999-2001), ვლადიკავკაზის „ალანიას“ (1989-90, 1994-99) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით „ალანია“ 1995-ში რუსეთის ჩემპიონი, ხოლო მომდევნო სეზონში ვერცხლის პრიზიორი გახდა. 1992 წელს მისმა გაწვრთნილმა მოსკოვის „დინამომ“ ბრინჯაო მოიგო.*

*2000 წლიდან რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების, ხოლო 2001 წლის ნოემბრიდან ცსკა-ს მწვრთნელია.*

*2002 წლის 8 ივლისს დაინიშნა რუსეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად.*



ვალერი გაზაევს ქართველებზე ფიქრი ორმაგად მოუწევს

# ეინდჰოვენში ჰიდინკისგან კორეას ელიან



ჰარი ვან რააი გუს ჰიდინკს აეროპორტშივე შეეგება

**„პსვ ეინდჰოვენი“** დიდი მწვრთნელის მისაღებად ემზადება. გადაწყვეტილი ამბავია, „კორეული სასწაულის“ შემოქმედი გუს ჰიდინკი პსვ-ში ბრუნდება. კვირას ჰიდინკი და პსვ-ს პრეზიდენტი ჰარი ვან რააი ფორმალურ მხარეს ჩაუჯდნენ, რის მერეც ჰიდინკი ორკვირიან შვებულებაში წავა, პრეზიდენტმა კი განაცხადა: „ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და მან თანხმობა განაცხადა. მომდევნო ორი სეზონი ჰიდინკი ჩვენთან იმუშავებს“.

თავად კორეელთა ეროვნულმა გმირმა თქვა, პსვ პერსპექტიული ამბიციური გუნდია, რამდენიმე [illegible] საბაბი მომცაო და [illegible] იღბლიანი და ბედნიერი მწვრთნელი ვარო.

გამორიცხული არაა, მწვრთნელის შვებულებიდან დაბრუნებამდე კლუბი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვოს. „დღესდღეობით „პსვ ეინდჰოვენში“ 27 ფეხბურთელი ირიცხება. ჩვენთვის ეს ზედმეტი ფუფუნებაა და, ალბათ, ზოგიერთის გაყიდვა მოგვიწევს. ჰიდინკი ამის თაობაზე თავის მოსაზრებას გაგვაცნობს“ — თქვა პრეზიდენტმა.

მშურველი გამოუჩნდა მარკ ვან ბომელს, თუმცა მისი „არსენალში“ გადასვლის საქმიდან, ალბათ, არაფერი გამოვა — ლონდონელებმა ფულის გადახდის ნაცვლად ვან ბომელში ნვანკვო კანუს გაცვლა მოინდომეს. ამან კი ვან რააი გააბრაზა, რად მინდა კანუ როცა გუნდში კეჟმანი, ვენეგოორი და ლუიონგი მყავს, ჩვენ „არსენალის“ პრობლემების გადაწყვეტას სულაც არ ვაპირებთო. ასე რომ, ვან ბომელი ჯერჯერობით, პსვ-ში რჩება

ვან ბომელისგან განსხვავებით, კევინ ჰოფლანდი წასვლას არ აპირებს. „როდესაც ჰიდინკის მოსვლის შესახებ გავიგე, ძალიან გამეხარდა. პსვ-სთან კონტრაქტით კიდევ ერთი წელი დამრჩა, ხოლო ჰიდინკი წინა სეზონში დაკარგული ჩემპიონობის დაბრუნებაში დაგვეხმარება“ — თქვა ჰოფლანდმა.

თავის მხრივ, კლუბის პრეზიდენტი სწორედ ჰოფლანდს, ვან ბომელთან და კეჟმანთან ერთად პსვ-ს ხერხემლად მიიჩნევს. „კლუბს ეს სამი ფეხბურთელი ძალიან სჭირდება და ისინი კლუბში დარჩებიან. ვფიქრობ, არც ერთი მათგანი არსად არ გადავა. ერთადერთი, თუ „არსენალმა“ პატრიკ ვიეირა გაყიდა, საკმარისი ფული გაუჩნდება და შესაძლოა, ვან ბომელში იმდენი შემოგვთავაზოს, რომ უარით ვერ გავისტუმროთ“ — დასძინა ვან რააიმ.

**სერგი ძორიძე**

# პოლონეთს პან ბონეკი



ზბიგნევ ბონეკი

**ზბიგნევ ბონეკი**, 80-იანი წლების პოლონური ფეხბურთის ვარსკვლავი, კვირას პოლონეთის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს. ბონეკმა ეჟი ენგელი შეცვალა, კაცი, რომელმაც მათი ეროვნული გუნდი 16-წლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა, მაგრამ კორეა-იაპონიაში უხეირო გამოსვლის გამო თანამდებობის დატოვება მოუხდა. მოგეხსენებათ, პოლონელებმა კორეასა და პორტუგალიასთან წააგეს, ბოლო ტურში ამერიკელებთან გამარჯვება კი აღარაფერს ცვლიდა, ისინი ჯგუფში ჩარჩნენ და ენგელმაც ქუდი დაიხურა.

ბონეკს თავისი ქვეყნის ნაკრებში 80-ჯერ უთამაშია და 24 გოლი გაუტანია. 1982 წლის ესპანეთის მუნდიალზე ის პოლონეთის ლიდერი იყო, ბელგიასთან მატჩში ჰეთ თრიქიც შეასრულა და დიდი წილი დადო ბრინჯაოს მედლების მოპოვებაში.

მას საკლუბო კარიერაც დიდებული გამოუვიდა. 80-იანების შუაში ბონეკი „იუვენტუსის“ ფორვარდი გახლდათ. გუნდისა, რომელსაც ჯოვანი ტრაპატონი წვრთნიდა და ვარსკვლავებით იყო სავსე: მიშელ პლატინი, პაოლო როსი, მარკო ტარდელი, ანტონიო კაბრინი, გაეტანო შირეა და ბონეკი მთავარი ფიგურები იყვნენ. 1985 წელს მათ ჩემპიონთა თასიც მოიგეს, „ეიზელის“ ავადსახსენებელ ფინალში „ლივერპულს“ 1:0 მოუგეს. ეს გოლი მიშელ პლატინიმ სწორედ ბონეკის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანა. მერე ცოტა ხანს „რომაშიც“ თამაშობდა, 80-იანების მიწურულს კი „ლეჩესა“ და „ბარის“ წვრთნიდა.

ბოლო დრომდე ბონეკი პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად მუშაობდა და ეროვნული გუნდიც არაერთხელ გაუკრიტიკებია. ახლა კი, ალბათ, თავად მოუწევს სხვისი „ტკბილ-ტკბილი“ სიტყვების მოსმენა.

**სოლომონ გულისაშვილი**

# აინტრახტი გადარჩა

**ფრანკფურტის** „აინტრახტმა“ სასამართლო პროცესი მოუგო გერმანიის საფეხბურთო კავშირს, რომელიც მისთვის პროფესიული კლუბის სტატუსის ჩამორთმევას აპირებდა.

საქმე ის არის, რომ 19 ივნისს ფრანკფურტელებს გამოუცხადეს, თქვენი პარტნიორი ბანკი კონტრაქტით გათვალისწინებულ ფინანსურ პირობებს ვერ ასრულებს და ლიცენზიაც აღარ გეკუთვნითო. ამ შემთხვევაში „აინტრახტს“, ვინაც წინა სეზონში მეორე ბუნდესლიგაში მერვე ადგილი დაიკავა, რეგიონალლიგაში დაქვეითება ემუქრებოდა, მაგრამ საჩივარმა გაჭრა და პრობლემაც მოგვარდა.

არადა, „აინტრახტს“ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. თავის დროზე ჩემპიონთა თასის ფინალშიც უთამაშია და 22 წლის წინ უეფას თასიც მოიგო. 90-იანი წლების პირველ ნახევარში კი ამ გუნდში საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა ცხადაძეც თამაშობდა და ბუნდესჩემპიონობას სულ ცოტა დააკლდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ამას ველოდით . . . რიკელმე!



ხუან რომან რიკელმეს ლოდინი დაუფასდა

**დღეს** „ბარსელონას“ ოფისში პრესკონფერენცია მოეწყობა, რომელზეც კლუბი ახალშეძენილ არგენტინელ გამთამაშებელ ხუან რომან რიკელმეს წარადგენს. ესპანურ გრანდსა და „ბოკა ხუნიორს“ შორის შეთანხმება მიღწეულია — „ბარსელონა“ 24 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ ცამეტ მილიონ ევროს შეელია და მასთან ხუთწლიან კონტრაქტს აფორმებს.

„დიდი ხანია, რიკელმეს ხელში ჩასაგდებად ვმუშაობდით. ახლა გახარებულები ვართ, რადგან ძალიან ძლიერი ფეხბურთელი ვიყიდეთ — განაცხადა „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან გასპარმა და დასძინა — საერთოდ, ჩვენ არ გვჩვევია, მომავალ გეგმებზე წინასწარ ბევრი ლაპარაკი.“

თუმცა აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელზე, რომელიც არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა მარსელო ბიელსამ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა, უკვე ორ წელიწადზე მეტია, ლაპარაკობენ და ამ ხნის მანძილზე ყველაზე სავარაუდო ის იყო, რაც მოხდა, ანუ ის, რომ რიკელმე ახალ სეზონს „ბარსაში“ შეხვდება.

ორიოდე სიტყვა რივალდოზეც ვთქვათ. ბრაზილიელი ახლა შვებულებაშია და მის დაბრუნებას კლუბის მესვეურები, ცოტა არ იყოს, რიდით ელიან. აი, რატომ: „ბარსას“ 22 ივლისს შევუერთდები და ყველაფერს მაშინ გავარკვევ“ — უთხრა რივალდომ ბრაზილიელ ჟურნალისტებს. „ყველაფერში“ კი, ალბათ, მისი ხელფასის მომატება თუ იგულისხმება. გამსოფლიოსჩემპიონებულ ბრაზილიელს ახლა ულტიმატუმის ენაზეც შეუძლია ლაპარაკი.

ბრაზილიაში რივალდო კონტრაქტის გადახედვის აუცილებლობაზე ალაპარაკდა, თან ძველ-ახალ მწვრთნელ ლუის ვან გაალზეც თქვა: „ჩვენ სხვადასხვა შეხედულება გვქონდა. შეტევის მარცხენა ფრთაზე თავს არაკომფორტულად ვგრძნობდი. ახლაც მიმაჩნია, რომ ცენტრში გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია“ — თან დაამატა, „ლაციოში“ ჩემი შესაძლო გადასვლის შესახებ ვერაფერს გეტყვითო.

პენტაკამპეონეთა მე-10 ნომრის იტალიაში გადაბარგებაზე საუბარი ვან გაალის გუნდში დაბრუნებისთანავე დაიწყო, თუმცა თავად რივალდოს „ბარსაში“ ყოფნა უნდა. „კლუბთან 2003 წლამდე მაქვს კონტრაქტი და მსურს დავრჩე, მაგრამ...“ — მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა რივალდომ, ეტყობა, ისევ კონტრაქტის პირობების გადახედვა იგულისხმა.

**ნიკა შუბლაძე**



# კანმა ლიხტენშტაინს თითი გამოსდო

**მსოფლიოს** საუკეთესო ფეხბურთელის და მეკარის ოლივერ კანის მარჯვენა ხელის თითი მკურნალობას საჭიროებს. შეგახსენებთ, რომ მან ტრავმა ფინალური მატჩის დროს მიიღო. როგორც ექიმი აცხადებს, თითის მორჩენას დაახლოებით ექვსი კვირა დასჭირდება. ამის გამო კანმა შესაძლოა, ბუნდესლიგის პირველი ტური გამოტოვოს.

მოულოდნელად გამოჩხრეკილმა პრობლემამ მიუნხენურ კლუბს თავსატეხი გაუჩინა. „ბაიერნის“ სელექციონერები დაფაცურდნენ და მეკარის შემცვლელს ეძებენ. „ბაიერნს“ კანის გარდა გუნდში 36 წლის ბერნდ დრეერი ჰყავთ, რომელიც კარიერის დასრულებაზე ფიქრობს, ახალგაზრდა შტეფან ვესელი კი „ვოლფსბურგში“ გადასვლას აპირებს.

მიუნხენის „ბაიერნის“ კარში შეიძლება 20 წლის პეტერ ჟილე აღმოჩნდეს. იგი ლიხტენშტაინის მოქალაქეა და უკვე ორი სეზონია, ციურიხის „გრასჰოპერში“ საკმაოდ დამაჯერებლად თამაშობს. ჯერ კიდევ 18 წლისას ლიხტენშტაინის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა. პეტერ ჟილე თავის სამშობლოში ღირსეულობით საუკეთესო მეკარედ არის აღიარებული.

მიუნხენელები სხვა ვარიანტებსაც განიხილავენ, თუმცა ლიხტენშტაინელს, ალბათ, მაინც წაიყვანენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლიგა თანამდებობად ღირს

## აიბროქსელთა თავი უფულოდ მოკვეთეს

**შოტლანდიური** ბობოლა „გლაზგო რეინჯერსის“ თავმჯდომარე დევიდ მიურეი თანამდებობიდან გადადგა.

არადა, ეს მულტიმილიონერი 14 წელი ხელმძღვანელობდა სახელოვან კლუბს და ამ ხნის განმავლობაში „რეინჯერსში“ 60 მილიონი გირვანქა აქვს მიტანილი.

ცხადია, ეს დახარჯული ფული დევიდ მიურეიმ სარფიან კაპიტალდაბანდებად აქცია. აიბროქსელებს მართლაც არაფერი უჭირთ, „რეინჯერსი“ კვლავაც მსუყე საძმოა, მაგრამ ბოლო წლებში კლუბი კომერციულ საქმიანობაში დიდი წარმატებით ვერ მოიწონებს თავს.

საქმე ისაა, რომ „რეინჯერსი“ ვერა და ვერ იქცა ჩემპიონთა ლიგაში სისტემატურად მოთამაშე გუნდად. ამან კლუბს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა — ამ ზაფხულს „რეინჯერსს“ ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან 47 მილიონ გირვანქიანი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრამ ყველაფერი ჩაშალა.

„თოთხმეტი წელი „რეინჯერსის“ თავკაცობა ძალიან დიდი პატივია, მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ მენეჯმენტის სტილი შესაცვლელია. კლუბის საკეთილდღეოდ ასეა საჭირო“ — დასძინა დევიდ მიურეიმ, რომლის პოსტსაც ჯონ მაკლანდი დაიკავებს.

თუმც მიურეი „რეინჯერსის“ ყველაზე მსხვილ მეწილედ რჩება — ის კლუბის აქციათა 66 პროცენტს ფლობს.

**დავით თაყართქილაძე**



დევიდ მიურეი



სანამ ადვოკატი საქმეს აგვარებს, რიოში რონალდოს მეგობრები დასტრიალებენ

# საათზე გამახსენდა, სად არის ფული?

**ეს ამბავი** მაშინ დაიწყო, როცა რონალდო ორი წლის წინ „ინტერში“ ბურთს დააგელვებდა.

შვეიცარიული საათების ფირმა „მონტეგას“, ბიჭის თამაში მოსწონებია. რონალდოსთან მსტოვრები გაუგზავნია, შენი სახელობის საათი გვინდა გამოვუშვათ და რას იტყვი, თანახმა ხარ თუ არაო. ბრაზილიელმა დასტური მისცა. შედეგად შეიქნა საათი — R9 ანუ რონალდოს ნომერი, მისი სახელის პირველი ასოთი.

მხარეებმა კონტრაქტს ხელი მოაწერეს, რომლის მიხედვითაც „კიჭას“ 5 მილიონ 200 ათასი დოლარი უნდა მიეღო. ამ თანხიდან მას მილიონ 200 ათასი მიართვეს, მერე კი, მოგეხსენებათ, ინტერელი დაშავდა და ფეხბურთს კარგა ხნით ჩამოშორდა.

„მონტეგამ“ ფეხბურთელისთვის გადასახდელი თანხა მიივიწყა, მაგრამ რონალდოს ადვოკატ სირილ პიგეს არ სძინებია. ჟენევის სასამართლოში სარჩელი შეიტანა, სასამართლომ კი განაჩენი გამოიტანა — ფირმამ ფული გადაიხადოსო.

ფირმის ადვოკატმა ალან მაკალუზომ იქით შეუტია, მილიონ 200 ათასი რომ მოგეცით, ისიც უკან დაგვიბრუნეთო: „კონტრაქტით ფეხბურთელი კარგ ფორმაში უნდა ყოფილიყო და ეთამაშა, ის კი მოედანზე ორი წელი არ გამოჩენილა და ფული მას კი არა, პირიქით, ჩვენ გვეკუთვნის“ — თქვა მან.

რადგან მხარეები ვერ მორიგდნენ, საქმეს საარბიტრაჟო სასამართლო გაარჩევს.

ამ საქმესთან კავშირი არ აქვს, მაგრამ რონალდოზე ერთი ამბავიც ვთქვათ. რიო დე ჟანეიროს მუნიციპალიტეტმა ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის მისი სახელის დარქმევა გადაწყვიტა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რიოში ეს არცთუ იოლი გასაკეთებელია, რადგან კანონი ქუჩისთვის ცოცხალი ადამიანის სახელის დარქმევას კრძალავს. ორი ვარიანტია — ან კანონი უნდა შეიცვალოს ან რონალდო სასწრაფოდ მოკვდეს. ვარაუდობენ, პირველი ვარიანტი უფრო რეალურიაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კურბისმა ნაცადი ხერხი აირჩია: დაცვა და სწრაფი კონტრშეტევა



როლან კურბისი

**წინა კვირის** ამბავია — საფრანგეთის პირველი დივიზიონის „აიაჩოს“ მწვრთნელმა როლან კურბისმა 770 000 ევრო გადაიხადა, რათა ორდღიანი პატიმრობის შემდეგ პოლიციას თავდებით გაეშვა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ კურბისს კორუფციაში ედება ბრალი, მწვრთნელობის გარდა ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვითაც იყავი დაკავებული მარსელის „ოლიმპიკში“ და უცნაური ტრანსფერების თანამონაწილე ხარო. კურბისს არც ეს აკმარეს და სამწვრთნელო ლიცენზიაც ჩამოართვეს.

ახლა კი როლან კურბისი ჭაობიდან ამოძრომას ეშურება. მისი ადვოკატი ანტონი სოლაკარი იმედოვნებს, რომ 3 აგვისტოსთვის, როცა „აიაჩომ“ პირველი მატჩი უნდა ითამაშოს საფრანგეთის ჩემპიონატში, კურბისი მწვრთნელობის უფლებას დაიბრუნებს — მუსიე კურბისის აპელაციას სასამართლო ამ თვის ბოლოს განიხილავს.

სოლაკარი-კურბისის სამოქმედო გეგმა ასეთია — კონტრშეტევა „ოლიმპიკის“ ყოფილი მოხელეებისადმი, რომლებმაც, დაზარალებულთა მტკიცებით, ცილისწამებით შეახოცეს ხელი მწვრთნელს.

„ოლიმპიკის“ ექსჩინოვნიკთა ტრიო კი ასეთია — ფინანსური დირექტორი პიერ დუდიტანი, აღმასრულებელი დირექტორი გაი დარბანიუ და ბუღალტერი ბერნარ დიუმა.

**დავით თაყართქილაძე**


# იყიდება

ვაკეში, ჭკელიძეზე ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის ტიპის ბინა
ტ: 29-13-75; 899 11-64-46



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტერი ვენეიბლზი

*დაიბადა: 1943 წლის 6 იანვარს დაგენჰემში (ინგლისი)*
*1960 — დაიწყო პროფესიული კარიერა „ჩელსიში“*
*1966 — გადავიდა „ტოტენჰემ ჰოთსფურში“*
*1976 — დაინიშნა „კრისტალ პალასის“ მწვრთნელად*
*1980 — დაინიშნა „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ თავკაცად*
*1984 — „ბარსელონაში“ გადავიდა სამუშაოდ. მომდევნო წელს კატალონიურმა კლუბმა 11-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი*
*1986 — „ბარსელონაში“ 5,3 გირვანქად გადაიყვანა გარი ლინეკერი და მარკ ჰიუზი. იმ სეზონში კატალონიურმა კლუბმა ესპანეთის ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა, თუმცა ბუქარესტის „სტიაუასთან“ პენალტების სერიაში წააგო*
*1987 — „ბარსელონას“ მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და „ტოტენჰემ ჰოთსფურში“ გადავიდა სამუშაოდ*
*1994 — დაინიშნა ინგლისის ნაკრების მწვრთნელად*
*1996 — იანვარში განაცხადა, რომ ევრო 96-ის დასრულების შემდეგ დაკავებულ თანამდებობას დატოვებდა. ასეც მოიქცა და პირველდივიზიონური „პორტსმუთის“ დირექტორი გახდა. ნოემბერში ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა, სადებიუტო 12 თამაში მოიგო, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მაინც ვერ მოხვდა გადათამაშებაში ურუგვაისთან დამარცხდა*
*1998 — „კრისტალ პალასის“ თავკაცად დაინიშნა*
*2000 — „მიდლსბროში“ მწვრთნელის ბრაიან რობსონის ნაცვლად მივიდა და გუნდი პრემიერლიგიდან დაქვეითებას გადაარჩინა, თუმცა სეზონის ბოლოს კლუბი დატოვა*
*2002 წლის 8 ივლისს „ლიდს იუნაიტედის“ თავკაცის პოსტი ჩაიბარა*

# ლანდი ელანდზე

## ტელევიზია ტელის გარეშე დარჩა

**ინგლისური** გამოთქმაა — სჯობს, იღბლიანი დაიბადო, ვიდრე მდიდარიო. ვერ გეტყვით, სად და როგორ დაიბადა პიტერ რიდსდეილი, მაგრამ „ლიდსის“ ახლანდელი თავმჯდომარე არც პირველის უკმარისობას უჩივის და არც ღარიბი ეთქმის.

შეაჩვიეს მფარველმა ანგელოზებმა გარისკვას და უმართლებს კიდეც — ბიზნესშიც და ფეხბურთშიც. ფული იშოვა, ერთ დროს ინგლისში და ევროპაში მქუხარე „ლიდს იუნაიტედი“ გაქანებული კრიზისის დროს ჩაიბარა და სად აღაზევა, კარგად მოგეხსენებათ. ამიტომაც ნუ გავკიცხავთ ამ კაცს, დევიდ ოლირი როგორ გაუშვა გუნდიდანო — რაღაცას მოიფიქრებდა.

გუშინ „ლიდსის“ მწვრთნელად ტერი ვენეიბლზი დაინიშნა, ანუ რიდსდეილმა კვლავ გარისკა: „ტელის“ კვალიფიკაციას ეჭვქვეშ არავინ აყენებს, მაგრამ „კრისტალ პალასის“, „ქუინზ პარკ რეინჯერსის“, „ბარსელონას“, „ტოტენჰემის“, ინგლისისა და ავსტრალიის ნაკრებთა ყოფილი მწვრთნელი ორი წელია, ტელეკომპანია ITV-ის საფეხბურთო წამყვანად მუშაობს და მოედანს არ გაკარებია.

მერე რა? რიდსდეილი ხომ აქამდეც არად დაგიდევდათ სხვის აზრს. 6 წლის წინ მან გუნდი „არსენალიდან“ დათხოვნილ, შერცხვენილ და ტრანსფერებში უკანონოდ მონაწილეობაში ეჭვმიტანილ ჯორჯ გრემს ჩააბარა. აი, სწორედ მაშინ დაიწყო „ლიდსის“ ტრანსფორმაცია.

ორ წელიწადში გრემი ლონდონს, ამჯერად „ტოტენჰემს“ დაუბრუნდა და რიდსდეილმა მწვრთნელად ირლანდიელი დევიდ ოლირი დანიშნა. არადა, ამ კაცს მთავარი მწვრთნელის პოსტზე არასდროს ემუშავა და გამოცდილება გრემის თანაშემწეობისას დააგროვა (უფრო ადრე ოლირი გრემის „არსენალშიც“ თამაშობდა).

ირლანდიელმაც გაამართლა, თანაც როგორ — გუნდი ოთხჯერ პრემიერლიგის ხუთეულში დასვა, ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე კი ნახევარფინალებში გაიყვანა.

მაგრამ ამისთვის ოლირიმ 100 მილიონზე მეტი დახარჯა, ამ ასად კი, როგორც რიდსდეილი თვლის, მეტის მიღწევა შეიძლებოდა. ამიტომაც გაუშვა ოლირი 11 დღის წინ და ამიტომაც დანიშნა ტერი ვენეიბლზი გუშინ.

თუმცა უნდა ითქვას, რომ რიდსდეილის ფავორიტი მარტინ ონილია, მაგრამ ჯერ იყო და, ამ მწვრთნელმა „ლესტერი“ ვერ მიატოვა (წინააღმდეგ შემთხვევაში ოლირის კანდიდატურა არც განიხილებოდა), ახლა კი „სელტიკს“ არ უღალატა.

...59 წლის ტერი ვენეიბლზი, კონტრაქტის თანახმად, „ლიდსს“ 2 წელი გაწვრთნის. ხვალ იორკშირში მისი პირველი პრესკონფერენცია შედგება, მერე კი „ტელი“ (ესპანეთში „ელ ტელი“ ერქვა) საქმეს შეუდგება.

**გიგა ძოგახიძე**

# მოგეცი გომეში!

## ნუნუს დეზი მოუხდება

**ფინანსურ კრიზისსა** და სერია B-ში დაყვინთული „ფიორენტინა“ ფეხბურთელების გაყიდვითაა დაკავებული. როგორც მოსალოდნელი იყო, „იებს“ ერთ-ერთი პირველი პორტუგალიელი ნუნუ გომეში დატოვებს.

— თავის დროზე გომეშზე 10 მილიონი დავხარჯეთ და ამ ფულის ამოღებას ვაპირებთ. ასე რომ, გომეში გაიყიდება, იჯარით აყვანის მსურველები ნუ შეგვაწუხებენ — განაცხადა ფლორენციელთა სპორტულმა დირექტორმა ჯუზეპე პავონემ.

მისი განცხადება ნუნუს ყოფილ კლუბ „ბენფიკას“ ეხება. ლისაბონელებს ფეხბურთელის იჯარით აყვანა სურდათ.

გომეშის მყიდველი კი ინგლისური „ტოტენჰემია“, რომელსაც სწორედ თავდასხმაში უჭირს. თავად განსაჯეთ, კლუბმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელა კრის არმსტრონგს, ნორვეგიელ ივერსენს ტრავმა აწუხებს, შერინგემ- ფერდინანდის წყვილის საერთო ასაკი 70 წელს გადასცდა, ხოლო უკრაინელ რებროვს მწვრთნელი გლენ ჰოდლი არ წყალობს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ლონდონელები გომეშის შესაძენად მილიონებს არ დაიშურებენ. სხვათა შორის, ნუნუ „დეზების“ მეოთხე და ყველაზე ძვირფასი ახალწვეული იქნება. ჯეიმი რედნაპსა და სლოვენიელ მილენკო აჩიმოვიჩში „ტოტენჰემს“ პენსიც არ გადაუხდია, ხოლო ბელგიური „მუსკრონის“ მოთამაშე ჯონათან ბლონდელი, რომელთანაც „ტოტენჰემი“ ამ კვირაში 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, კლუბს სულ რაღაც 800 000 დოლარი დაუჯდება.

„ტოტენჰემის“ ცნობით, გომეშის ტრანსფერის ყველა დეტალი უახლოეს დღეებში შეთანხმდება.

**სერგი ძორიძე**



ნუნუ გომეში ღარიბს ეყრება

# ეს კარი 4 წლით შენია, ბრედ!

**აშშ**-ის ნაკრების მეკარე ბრედ ფრიდელი მომდევნო ოთხ სეზონსაც „ბლექბერნში“ გაატარებს, რაზეც შეთანხმება უკვე მიღწეულია. ბრედ ფრიდელის აქციები ამერიკელთა მუნდიალზე ნაჩვენებმა შედეგმა კიდევ უფრო ასწია. აქვე შეიძლება გავიხსენოთ, რომ ამერიკელმა მეკარემ ორი პენალტი მოიგერია (კორეასთან და პოლონეთთან).

თავად 32 წლის ფრიდელმა ამ შემთხვევებისთვის ჩვეული, ტრაფარეტული სიტყვები მოიშველია — ძალიან მიყვარს აქაურობა, „ბლექბერნში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ და წასვლა გულში არ გამივლიაო.

„ის ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა. მასზე დიდ იმედს ვამყარებთ“ — ასევე ტრაფარეტული ფრაზით გამოეხმაურა ამერიკელის ახალ კონტრაქტს „ბლექბერნის“ აღმასრულებელი დირექტორი ჯონ უილიამსი. მწვრთნელმა გრემ სუნესმა კი დაამატა, ბრედის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრწყინვალე თამაში არ გამკვირვებია, მისი შესაძლებლობები ისედაც კარგად ვიცოდიო.

**სერგი ძორიძე**



მუნდიალზე ბრედ ფრიდელი პენალტების მოგერიებითაც გამოირჩა

# ქორწილი შეყვარებულთა კუნძულზე



*რაო, რაო? მაკა ცოლს ირთავსო! ირთავსო კი არა, შეირთო და ეგაა. ქალ-ვაჟი ეკლესიიდან რომ გამოვა, საქმე მოთავებულად უნდა მივიჩნიოთ.*

*გთხოვთ, იცნობდეთ, ეს პირმშვენიერი გოგო ვიქტორია ედუარდსი გახლავთ, მისი მეუღლე კი, ალბათ, იცანით, მადრიდის „რეალის“ ინგლისელი ნახევარმცველი სტივ მაკმანამანი.*

*ქვედა ფოტოზე იახტაზე მონებივრე წყვილს რომ ხედავთ, იგივენი არიან და კარგა ხნის წინ არის გადაღებული, რაც გვახვედრებს, რომ სტივის და ვიკას ურთიერთობა გუშინ არ დაწყებულა და ეკლესიაშიც ხანგრძლივი ფიქრის მერე მისულან. ჰო, ჯვრისწერა კუნძულ მალიორკაზე შედგა. ეს კუნძული კი დროს ტარების მოყვარულთა სამოთხეა.*

*და კიდევ, მაკმანამანთან ერთად, წინა შაბათს ორი სხვა რეალელიც — მეკარე სესარი და პედრო მუნიტისიც დაქორწინდნენ.*



# საფრანგეთს როჟე ააწიეს

## ომი ზიდანის უფროსობისთვის

**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ განაცხადა:

„როჟე ლემერი ფედერაციის საბჭომ თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამიერიდან ის ერთ-ერთი ტექნიკურ დირექტორთაგანი იქნება, სადაც იმდენ ხანს იმუშავებს, რამდენ ხანსაც თავად ჩათვლის მიზანშეწონილად."

შემდეგ სიმონემ ლემერის გამართლებას მიჰყო ხელი. მან თქვა, რომ ლემერის თუნდაც ერთ შეცდომას ვერ იხსენებს და ყველაფერი უიღბლობას გადააბრალა. ამასთან, პრეზიდენტის აზრით, ლემერმა კარგად იცოდა, რომ ადამიანი ნაკრების მწვრთნელად მუდმივად ვერ იმუშავებს და ამიტომ, თანამდებობიდან გათავისუფლებას გაგებით შეხვდა. შემცვლელს კი, სიმონეს თქმით, ჯერ კიდევ ეძებენ, თუმცა ამ ერთობ რთულ საქმეს სავარაუდოდ, მალე უწერია გადაწყვეტა. გვარები პრეზიდენტს არ დაუსახელებია:

„გონებაში სამი-ოთხი პიროვნება მიტრიალებს, რომელთაგან ერთს 14-20 ივლისს ამოვირჩევთ. ამ საქმეში, პროფესიულ ფეხბურთში დაკავებული ხალხი დაგვეხმარება."

ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი დიპლომატიაა, ისე კი გაზეთები წერენ, რომ სიმონეს ყველაზე მეტად ჟან-ფრანსუა დომერგი მოსწონს, პლატინისდროინდელი დიდი ნაკრების მოთამაშე. დომერგი ადრე „პარი სენ ჟერმენს" წვრთნიდა, წინა სეზონში კი „ლე ავრი" პირველ დივიზიონში აიყვანა.

თუმცა, ფრანგულ ფეხბურთში მხოლოდ სიმონეს სიტყვა არ ჭრის. ნუ დაგვავიწყდება, რომ იქ არის მიშელ პლატინი, ფიფას და უეფას ალმასკომის წევრი და, სხვათა შორის, ფიფას ვიცე-პრეზიდენტიც, რომელსაც თავის ყოფილ თანაგუნდელს „ლიონის" თავკაცი ჟაკ სანტინი ურჩევნია.

სანტინიმ „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა: ცხადია, ნაკრების მწვრთნელობა მინდა და მიხარია, როდესაც მიშელ პლატინის რანგის კაცი მხარს მიჭერს, მაგრამ კონკრეტულად ამ საქმეზე ჯერ არავინ დამლაპარაკებია."

ამასობაში, ფრანგული ლიგის პრეზიდენტმა ფრედერიკ ტორიემ სანტინის წინაალმდეგ გაილაშქრა. მიზეზი: სანტინის, თურმე, ხალხთან ურთიერთობა უჭირს.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ემე ჟაკე კი მხარს სულ სხვას, 21-წლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელს, რაიმონ დომენიკს უჭერს. თავად დომენიკი ასე ბრძანებს:

„ჩემთვის ყველაფერი მარტივადაა. მე ერთ-ერთი ტექნიკური დირექტორი ვარ და ამ საქმეში ათი წელიწადია ვტრიალებ. თუ როჟე მიდის, მაშინ ავტომატურად ვხდები მთავარი კანდიდატი. ამასთან, მთელი ამ ხნის მანძილზე ახალგაზრდები მებარა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის ნაკრების მომავალი თაობა ჩემზე უკეთ არავინ იცის."

ხმას იმაღლებს მაროკოში მომუშავე „რაბათის" მწვრთნელი, პლატინის კიდევ ერთი თანაგუნდელი ალენ ჟირესიც: „ნაკრების მწვრთნელობა რა ხანია, მინდა."

ახსენებენ, იაპონიის ნაკრების „გუშინდელ" მწვრნელ ფილიპ ტრუსიესაც, რომელიც ამბობს: „ვადასტურებ, რომ კანდიდატი ვარ, ოღონდ არა ერთადერთი."

და კიდევ, ვილაცეებმა დიდიე დეშანი და ჟან ტიგანაც ახსენეს. პირველი „მონაკოს" ხელმძღვანელობს, მეორე — ლონდონის „ფულემს".

**ბაჩუნა ძიძია**



როჟე ლემერი







ჟან ტიგანა, ჟაკ სანტინი, ალენ ჟირესი, ფილიპ ტრუსიე და რაიმონ დომენიკი

# ყველაზე ევროპული სამხრეთ ამერიკა

## ბიელსამ არგენტინა დააფეხმძიმა

**მარსელო ბიელსა** არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში მარადონას შემდგომი, წარუმატებელი ეპოქის ერთ-ერთ ხელმოცარულ მწვრთნელად ჩაიწერა. მარადონა რატომ ვახსენეთ, ის ხომ მწვრთნელი არ ყოფილა? არა, მაგრამ ის გახლდათ ფეხბურთელი, რომელმაც 1986 წელს არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონად აქცია, 1990-ში ფინალში გაიყვანა, ხოლო 1994-ში, სანამ ეფედრინის მიღების გამო თამაშს აუკრძალავდნენ, გუნდი ჯიქურ მიჰყავდა ყოველი მომდევნო ეტაპისკენ. ერთი სიტყვით, მარადონამ ეპოქა შექმნა! და რა შექმნა ბიელსამ? ბიელსამ სამშობლოს ბოლო 40 წლის მანძილზე უარესი შედეგი მოუტანა. შედეგად, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ მას კონტრაქტის განახლებაზე სიტყვაც კი არ ჩამოუგდო — ბიელსას ძველი ხელშეკრულება 30 ივნისს (მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის დღეს) ფარატინა, ისტორიულ დოკუმენტად იქცა.

კეთილი, მაგრამ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ახალი ხელმძღვანელი ხომ სჭირდება?

ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა: „მართალი გითხრათ, ახალი მწვრთნელის ვინაობა დაახლოებითაც კი არ ვიცი."

ისე კი ამბობენ, რომ შესაძლო კანდიდატთა შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი, ფედერაციის ტექნიკურ დირექტორ ხოსე პეკერმანსა და „ბოკა ხუნიორსის" თავკაც კარლოს ბიანკის აქვთ.

ახლა, გავიხსენოთ არგენტინელთა ერთი თვის წინანდელი შედეგები: 1:0 ნიგერიასთან, 0:1 ინგლისთან და 1:1 შვედეთთან. ზემოთ კი 40 წლის წინანდელი ამბავი ვახსენეთ. მაშინ არგენტინელებმა 1:0 მოუგეს ბულგარეთს, 1:3 წააგეს ინგლისთან და 0:0 ითამაშეს უნგრეთთან — ეს 1962 წელს, ჩილეში მოხდა.

ჰგავს არა ერთმანეთს? მაგრამ განსხვავება მაინც იყო: საყოველთაო აღიარებით, არგენტინის ნაკრებს წლეულს გაცილებით უკეთესი შემადგენლობა ჰყავდა.

აი, რას ფიქრობს მეზობლებზე ყოფილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჟუნიორი: „არგენტინა იმან დაღუპა, რომ საფრანგეთისა არ იყოს, ბოლო ორი წლის განმავლობაში სირთულეს არ გადაჰყრია. მარსელო ბიელსა პრობლემებს მხოლოდ იაპონიაში გადააწყდა, იქ კი, ასე უცბად, მათი გადაჭრის მექანიზმი ვერ იპოვა. არც ფეხბურთელები აღმოჩნდნენ მზად საამისოდ."

შეგახსენებთ: ბიელსა კოპა ამერიკაზეც დამარცხდა. ეს 1999 წელს, პარაგვაიში მოხდა, როდესაც მეოთხედფინალში ბრაზილიასთან წააგო, ხოლო, ამ თასის შემდგომ გათამაშებაზე, რომელსაც 2001 წელს კოლუმბიამ უმასპინძლა, არგენტინა უბრალოდ არ ჩავიდა.

თუმცა დავუბრუნდეთ ბოლო ფიასკოს, რომლის შესახებაც უკვე მრავალი აზრი გამოითქვა. ითქვა, რომ მოთამაშეები მომქანცველი ევროპული სეზონის შემდეგ ფორმაში არ იყვნენ; რომ იგივე ფეხბურთელების იმავე ევროპაში დიდი ხნის ყოფნამ გაუჩოებს არგენტინული ფეხბურთის თავისებურებები დაავიწყა; რომ ბიელსა გუნდურმა თამაშმა მეტისმეტად გაიტაცა და ინდივიდუალიზმი სრულიად ამოძირკვა. ეს ბოლო მოსაზრება კალმოსანმა ხუან სასტურაინმა ასე გამოხატა:

„ეს იყო სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ევროპული გუნდი, რომელსაც არგენტინული ფესვები აღარ ჰქონდა."

საინტერესოა, რომ ბიელსასთვის ცნება გუნდის კაპიტანიც, როგორც ჩანს, ბევრს არაფერს ნიშნავს. კერძოდ, არგენტინის ნაკრებს იაპონიაში ოთხი კაპიტანი ჰყავდა, ლიდერი კი არც ერთი. ისევ სასტურაინი:

„ნამდვილი ლიდერი... მოედნის კიდესთან იდგა."

აქ ჟურნალისტმა თავად მწვრთნელი იგულისხმა.

თუმცა ფრანგული ფეხბურთის ლეგენდამ მიშელ პლატინიმ, ერთი კვირის წინ „ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში, სიტყვამ არგენტინა რომ მოიტანა, ასე ბრძანა:

„არგენტინელებმა, ჩემი აზრით, ტრადიციული ფეხბურთი ითამაშეს, ოღონდ მძიმედ. ამასთან, დღეს ყველა გუნდურ მოქმედებაზე აკეთებს აქცენტს. ჩემს დროს ფეხბურთს ჯერ კიდევ ფეხბურთელები განსაზღვრავდნენ, დღეს კი ეს სახელობა მწვრთნელებისაა. მაგალითად, ჩვენს ნაკრებში, ვგონებ, ზიდანს და ანრის მეტი გაქანება უნდა ჰქონოდათ. ზიდანი იმავე პოზიციაზე და იმავე ნომრით თამაშობს, თავის დროზე მე რომ ვთამაშობდი, მაგრამ ის, რაც სურს და რაც სწორად მიაჩნია, ვერ აკეთებს, რადგან სქემითაა შებოჭილი, მე კი თავისუფლება არ მაკლდა."

**ბაჩუნა ძიძია**

### 2002 წლის საფრანგეთის ნაკრების ყველა მწვრთნელი 1964 წლიდან

| | | |
|---|---|---|
| ანრი გუერინი | (04.10.1964-20.07.1966) | 15 მატჩი, 5 მოგება, 4 ფრე, 6 წაგება. ბურთები 15-18 |
| ხოსე არიბასი და ჟონ სელა | (28.09.1966-26.11.1966) | 4 მატჩი, 2 მოგება, 2 წაგება, ბურთები 8-7 |
| ჟუსტ ფონტენი | (22.03.1967-03.06.1967) | 2 მატჩი, ორივე წაგება. ბურთები 3-6 |
| ლუი დუგოგე | (17.09.1967-06.11.1968) | 9 მატჩი, 2 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება, ბურთები 13-19 |
| ჟორჟ ბულონი | (12.03.1969-26.05.1973) | 31 მატჩი, 15 მოგება, 5 ფრე, 11 წაგება. ბურთები 49-40 |
| სტეფან კოვაჩი | (08.09.1973-15.11.1975) | 15 მატჩი, 6 მოგება, 4 ფრე, 5 წაგება. ბურთები 22-15 |
| მიშელ იდალგო | (27.03.1976-27.06.1984) | 75 მატჩი, 41 მოგება, 16 ფრე, 18 წაგება. ბურთები 139-72 |
| ანრი მიშელი | (13.10.1984-22.10.1988) | 36 მატჩი, 16 მოგება, 12 ფრე, 8 წაგება. ბურთები 53-28 |
| მიშელ პლატინი | (19.11.1988-17.06.1992) | 29 მატჩი, 16 მოგება, 8 ფრე, 5 წაგება. ბურთები 53-28 |
| ჟერარ ულიე | (26.08.1992-17.11.1993) | 12 მატჩი, 7 მოგება, 1 ფრე, 4 წაგება. ბურთები 20-13 |
| ემე ჟაკე | (16.02.1994-29.07.1998) | 53 მატჩი, 34 მოგება, 16 ფრე, 3 წაგება. ბურთები 93-27 |
| როჟე ლემერი | (29.07.1998-05.07.2002) | 53 მატჩი, 34 მოგება, 11 ფრე, 8 წაგება, ბურთები 106-43 |

### 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 32 ნაკრების მწვრთნელი

#### დარჩნენ

**გერმანია** — რუდი ფოლერი
**ინგლისი** — სვენ გორან ერიკსონი
**კამერუნი** — ვინფრედ შეფერი
**დანია** — მორტენ ოლსენი
**ირლანდია** — მიკ მაკარტი
**აშშ** — ბრიუს არენა
**იტალია** — ჯოვანი ტრაპატონი
**სენეგალი** — ბრუნო მეტსუ
**შვედეთი** — ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი
**ტუნისი** — ამარ სუაია
**თურქეთი** — შენოლ გიუნეში

#### დროებით დატოვეს

**ს. აფრიკა** — იომო სონო

#### კონტრაქტი დაუმთავრდათ

**ბელგია** — რობერ ვასეჟი
**ბრაზილია** — ლუიშ ფელიპე სკოლარი
**ეკვადორი** — ერნარ დარიო გომესი
**ჩინეთი** — ბორა მილუტინოვიჩი
**ს. კორეა** — გუს ჰიდინკი
**კოსტა რიკა** — ალეშანდრე გიმარაეში
**იაპონია** — ფილიპ ტრუსიე
**მექსიკა** — ხავიერ აგირე
**პარაგვაი** — ჩეზარე მალდინი
**არგენტინა** — მარსელო ბიელსა

#### გადადგნენ

**ხორვატია** — მირკო იოზიჩი
**ესპანეთი** — ხოსე ანტონიო კამაჩო
**რუსეთი** — ოლეგ რომანცევი
**სლოვენია** — სრეჩკო კატანეცი
**ურუგვაი** — ვიქტორ პუა

#### დაითხოვეს

**ს. არაბეთი** — ნასერ ალ-ჯოჰარი
**საფრანგეთი** — როჟე ლემერი
**ნიგერია** — ადეგბოიე ონიგბინდე
**პოლონეთი** — ეჟი ენგელი
**პორტუგალია** — ანტონიუ ოლივეირა



არგენტინას მარსელო ბიელსას სამსახური აღარ სჭირდება

# ბატე მიუნხენშიც მოაგონდებათ

**ბელგიური** „ლოკერენი", ჩვენებური „ვიტ ჯორჯია" რომ „მოიგელა", კვირას გერმანიას ეწვია ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპის პირველ მატჩში „შტუტგარტთან" სათამაშოდ. მასპინძლებმა, მეტოქის შეუფასებლობა არ ევებისო და სტუმრებს უძლიერესი შემადგენლობა დახვედრეს — „შტუტგარტმაც" იოლად მოიგო 2:0. „ლოკერენის" მეკარე ვან დერ იუგტი იოხენ ზაიცმა და გაგერმანელებულმა სამხრეთაფრიკელმა შონ დანდიმ დაამწუხრეს.

მოგეხსენებათ, ინტერტოტოზე ფრანგული კლუბები ყოველთვის ყოჩაღობდნენ, გამონაკლისი არც წლევანდელი გათამაშებაა. „ტრუამ" და „სოშომ" უპრობლემოდ მოიგეს, ისევე როგორც ჩეხურმა კლუბებმა. თუ ფრანგებმა მეტოქეებს ორ-ორი ბურთი აკმარეს, „სინოტმა" და „ტეპლიცემ", შესაბამისად, შვედური „ჰელსინგბორგი" და პორტუგალიური „სანტა კლარა", რომ იტყვიან, „ამოავსეს". გასაკვირია „ჰელსინგბორგის" უსუსური თამაში, შვედეთში ხომ გახურებული სეზონია, ჩეხეთში კი კლუბები მხოლოდ ვარჯიშობენ და სპარინგ-მატჩებით თუ იქცევენ თავს.

-ვინც შაბათს „ევროსპორტს" უყურა, „ფულემი" — „ჰაკას" მატჩსაც ნახავდა. ჟან ტიგანას გუნდი მთლიანობაში კი ფლობდა როგორც სათამაშო, ისე ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ აშკარად ჩანდა, ლონდონელები ჯერ მოუმზადებლები არიან. „ჰაკა" ნამდვილად არ ყოფილა ხელწამოსაკრავი გუნდი. ჩინებული მეკარე ჰყავთ ფინელებს, რამდენჯერმე მისმა ოსტატობამაც იხსნა სტუმრები.

იტალიურმა „ტორინომ" მე-17 წუთზე გაუტანა ავსტრიულ „ბრეგენცს". ეს მარკო ფერანტემ მოახერხა და... მერე გუნდი გაჩერდა, მეტოქის კარისკენ არც გაუხედავს, მძიმე, ზოზინა თამაში იხილა „დელე ალპიზე" შეკრებილმა ორასიოდე ქომაგმა.

-და ბატე. ბელარუსული კლუბი შარშან გავიცანით, როცა თავსლაფი დაასხა ბატემ თბილისის „დინამოს". ამ საკმაოდ სიმპათიურმა გუნდმა ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე დანიური „აკადემისკი" დაიფრინა, თანაც ორივე მატჩი მოუგო — 2:0 და 1:0. ბატემ ახლაც ერთი გოლი იკმარა და სად? არც მეტი, არც ნაკლები, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე", „მიუნხენ 1860" რომ გააკრა ბეჭებზე. 75-ე წუთზე არტიომ კანცავის უძლიერესად დარტყმულს მეკარემ ვერაფერი მოუხერხა.

ბატემ სენსაციურად კი მოიგო, თუმც ისიც სათქმელია, რომ გერმანულმა კლუბმა მეორე შემადგენლობით ითამაშა.

**გიორგი მუზაშვილი**

### ინტერტოტოს თასი. პირველი ეტაპი
II ეტაპი. I მატჩები

სინოტი (ჩეხეთი) 4:0 ჰელსინგბორგი (შვედეთი)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 5:1 სანტა კლარა (პორტუგალია)
ტორინო (იტალია) 1:0 ბრეგენცი (ავსტრია)
მიუნხენ 1860 (გერმანია) 0:1 ბატე (ბელარუსი)
შტუტგარტი (გერმანია) 2:0 ლოკერენი (ბელგია)
კოლრეინი (ჩრდ. ირლანდია) 1:2 ტრუა (საფრანგეთი)
ფულემი (ინგლისი) 0:0 ჰაკა (ფინეთი)
სლავენი (ხორვატია) 2:0 ბელენენსეში (პორტუგალია)
გლორია (რუმინეთი) 3:0 ტეუტა (ალბანეთი)
აშდოდი (ისრაელი) 1:1 მარეკი (ბულგარეთი)
კრილია სოვეტოვი (რუსეთი) 3:0 დინაბურგი (ლატვია)
ტილბურგი (ჰოლანდია) 1:0 სენტ გალენი (შვეიცარია)
ციურიხი (შვეიცარია) 1:0 ლევადია (ესტონეთი)
სოშო (საფრანგეთი) 2:0 ჟალგირისი (ლიტვა)
გენტი (ბელგია) 2:0 სენტ პატრიკსი (ირლანდია)
ვილიარეალი (ესპანეთი) 2:0 ჰაფნარფიორდური (ისლანდია)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 14 ივლისს*



ფულემი — ჰაკა. სტუმართა თუკა რანტალამ მასპინძელ ფაკუნდო სავას ზურგი უჩვენა

### ფინეთი
გადადებული მატჩები

ჰამენლინა — იარო 0:1; კუოპიო — ალიანსი 4:0; ვაასა — ჯაზი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 13 | 6 | 5 | 2 | 22:12 | 23 |
| ინტერი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:6 | 22 |
| ჰაკა | 12 | 7 | 1 | 4 | 19:12 | 22 |
| ჰიკ | 12 | 6 | 3 | 3 | 18:15 | 21 |
| ალიანსი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:15 | 21 |
| ტამპერე | 12 | 4 | 7 | 1 | 11:8 | 19 |
| იარო | 12 | 4 | 3 | 5 | 13:16 | 15 |
| ჰამენლინა | 12 | 2 | 6 | 4 | 14:16 | 12 |
| ლაჰტი | 12 | 3 | 3 | 6 | 9:18 | 12 |
| ვაასა | 12 | 2 | 4 | 6 | 11:16 | 10 |
| კუოპიო | 11 | 2 | 3 | 6 | 12:19 | 9 |
| ჯაზი | 12 | 2 | 2 | 8 | 10:21 | 8 |

### შვედეთი
IX ტური

მალმიო — ორებრო 4:1; სუნდსვალი — კალმარი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანდსკრონა | 8 | 5 | 3 | 0 | 21:9 | 18 |
| მალმიო | 9 | 6 | 0 | 3 | 20:11 | 18 |
| იორგრიტე | 8 | 4 | 3 | 1 | 13:10 | 15 |
| გოთებორგი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:8 | 13 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:13 | 13 |
| იურგორდენი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 12 |
| ორებრო | 9 | 3 | 3 | 3 | 9:13 | 12 |
| სუნდსვალი | 9 | 2 | 4 | 3 | 7:8 | 10 |
| ელფსბორგი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:9 | 9 |
| კალმარი | 9 | 2 | 3 | 4 | 3:9 | 9 |
| ჰალმსტადი | 8 | 1 | 5 | 2 | 7:8 | 8 |
| ჰამარბი | 8 | 1 | 3 | 4 | 14:18 | 6 |
| ნორჩიოპინგი | 8 | 1 | 3 | 4 | 4:8 | 6 |
| აიკ | 8 | 1 | 3 | 4 | 11:16 | 6 |

### შვეიცარია
A ჯგუფი. 1 ტური

**აარაუ 0:1 ბაზელი**
0:1 ხიმენესი (19)

**დილეთონი 2:0 სერვეტი**
1:0 ოიონგი (30), 2:0 დი ზენზო (52)

**გრასჰოპერი 4:1 ვილი**
1:0 ედუარდო (12), 2:0 ბარიხო (17), 2:1 მორდეგაუ (52), 3:1 კაბანასი (54), 4:1 ნუნიესი (81)

**ქსამაქსი 2:1 თუნი**
0:1 ჰ. ბაუმანი (20), 1:1, 2:1 რეი (62, 77)

**სენტ გალენი 0:3 ციურიხი**
0:1 ტარონე (29), 0:2, 0:3 კეიტა (36, 81)

**იანგ ბოისი 2:2 ლუცერნი**
0:1 მუფი (27), 1:1 პაბერლი (56), 2:1 შაპუიზა (88), 2:2 არუე (90)

B ჯგუფი. 1 ტური

ბადენი — ლუგანო 0:2; ბელინცონა — ვოლენი 1:1; კონკორდია — ვადუცი 3:3; კრიენსი — ლოზანა 4:1; სიონი — ვინტერთური 2:1; ივერდონი — შაფჰაუზენი 1:2

### უკრაინა

1-ლი ტური: არსენალი (კიევი) — შახტარი (დონეცკი) 0:0; მეტალისტი (ხარკოვი) — დინამო (კიევი) 0:2; დნეპრი (დნეპროპეტროვსკი) — ვოლინი (ლუცკი) 2:0; პოლიგრაფტექნიკა (ოლექსანდრია) — კარპატი (ლვოვი) 0:0; ტავრია (სიმფეროპოლი) — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 1:1; მეტალურგი (მარიუპოლი) — ვორსკლა (პოლტავა) 4:1; ჩერნომორეცი (ოდესა) — კრივბასი (კრივოი როგი) 0:2; მეტალურგი (დონეცკი) — ობოლონი (კიევი) 2:1

### რუსეთი
პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

**ლოკომოტივი 1:0 ურალანი**
1:0 სემშოვი (53ს.პ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 14 | 10 | 3 | 1 | 22:6 | 33 |
| ცსკა | 12 | 9 | 1 | 2 | 25:11 | 28 |
| სპარტაკი | 13 | 7 | 2 | 4 | 22:17 | 23 |
| ზენიტი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:11 | 21 |
| კრილია | 13 | 6 | 3 | 4 | 18:15 | 21 |
| სატურნი | 13 | 5 | 5 | 3 | 18:15 | 20 |
| დინამო | 13 | 6 | 1 | 6 | 15:13 | 19 |
| შინიკი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:19 | 18 |
| როტორი | 13 | 5 | 3 | 5 | 10:13 | 18 |
| ურალანი | 13 | 3 | 6 | 4 | 16:16 | 15 |
| ტორპედო | 13 | 3 | 4 | 6 | 16:16 | 13 |
| ანჟი | 13 | 2 | 7 | 4 | 10:17 | 13 |
| ზილ | 13 | 3 | 4 | 6 | 8:17 | 13 |
| როსტსელმაში | 12 | 3 | 3 | 6 | 13:20 | 12 |
| ალანია | 13 | 2 | 3 | 8 | 15:24 | 9 |
| სოკოლი | 13 | 1 | 3 | 9 | 5:15 | 6 |

### ავსტრია
სუპერთასი

**შტურმი 0:3 გრაცერი**
0:1 ბაზონა (20), 0:2 დმიტროვიჩი (49), 0:3 ბრუნმაიერი (72)

### ამხანაგური მატჩები

**ყაზახეთი 1:1 ესტონეთი**
1:0 ლიტვინენკო (38), 1:1 როობა (40)

**მალავი 3:2 ზიმბაბვე**
1:0 კონიენდა (24პ), 2:0 მადუკა (35), 3:0 ლუნდავე (50), 3:1 ჩანდიდა (63), 3:2 მატოლა (63)

### ფეხბურთის კულუარებიდან



**იტალიური** „პარმა" ფრანგული „ლიონის" ნახევარმცველ ვიკაშ დორასოთი დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ დორასო წინა სეზონში იჯარით „ბორდოში" თამაშობდა. „პარმა" დორასოს სანაცვლოდ „ლიონს" ასევე ნახევარმცველ საბრი ლამუშს უთმობს, რომელიც ორიოდ წლის წინ „მონაკოს" ღირსებას იცავდა და მერე გადაბარგდა სერია A-ში.

**ფრანგი** ნახევარმცველი ალენ ბოგოსიანი ახალ სეზონში შესაძლოა, ესპანურ „ესპანიოლში" აღმოჩნდეს. ბოგოსიანს „პარმასთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა თავისუფალი აგენტია.

**ესპანური** „ბარსელონას" ფეხბურთელი ლუის გარსია, რომელიც შარშან „ვალიადოლიდში" იჯარით იყო გაშვებული, შესაძლოა, პრიმერადივიზიონში დაბრუნებულ „ატლეტიკოში" გადავიდეს.

**ნიგერიის** ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ტაივო ოგუნჯობის თქმით, ამ ქვეყნის ნაკრებს მალე უცხოელი სპეციალისტი ჩაუდგება სათავეში. მას კონკრეტულად არავინ დაუსახელებია, თუმც ვარაუდობენ, რომ მწვრთნელი ფრანგი, გერმანელი, ჰოლანდიელი, უკრაინელი ან იუგოსლაველი იქნება.

**ესპანური** „ვალენსიას" არგენტინელი მცველი რობერტო ფაბიან აიალა პრემიერლიგაში გადასვლას აპირებს. მისით „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლიდსი" დაინტერესდნენ. „დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი ინგლისში. ძალიან მომწონს პრემიერლიგა. იქ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი თამაშობს" — განაცხადა აიალამ.

**ინგლისური** „არსენალი" „ლიდსის" მცველ რიო ფერდინანდის გადაბირებას ცდილობს. ლონდონელებს სურთ, დაცვის ცენტრში ფერდინანდ-კემპბელის დუეტი ჰყავდეთ, თუმც ამაში „მანჩესტერ იუნაიტედი" ეცილება. მანჩესტერელები მზად არიან, ფერდინანდში „ლიდსს" 30 მილიონი გირვანქა გადაუხადონ, მაგრამ „მეთოფეები" ამას არ შეუშინდნენ, ისინი მეტის გადახდაზეც ყაბულს არიან და შესაძლებელია, ფრანგი თავდამსხმელი სილვენ ვილტორდიც დაამატონ.

**ესპანურ** „სოსიედადში" მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაბრუნებულ ხავიერ დე პედროს კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი დაახვედრა, მაგრამ ნაკრების ნახევარმცველმა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისგან თავი შეიკავა, ხელფასი არ მოეწონა. უახლოეს მომავალში ხავიერ დე პედრო თავის აგენტთან ერთად კიდევ ერთხელ შეხვდება კლუბის თავკაცებს და ახალი კონტრაქტის პირობებს დააზუსტებს.

**იტალიური** „რომას" მწვრთნელ ფაბიო კაპელოს „იუვენტუსის" ჰოლანდიელ ნახევარმცველ ედგარ დავიდსისთვის დაუდგამს თვალი. „დარწმუნებული ვარ, ტურინულ კლუბთან შეთანხმებას მივაღწევთ. დავიდსთან ერთად მომავალ სეზონში ბევრის მიღწევა შეგვიძლია" — განაცხადა ფაბიო კაპელომ.

**გერმანული** „დორტმუნდის" თავკაცი მათიას ზამერი უარყოფს კრისტოფ მეცელდერის მადრიდის „რეალში" შესაძლო გადასვლას. „ჩვენ მის გაყიდვას არ ვაპირებთ" — განაცხადა ზამერმა. შეგახსენებთ, რომ 21 წლის მეცელდერი „დორტმუნდში" მხოლოდ შარშან გადავიდა რეგიონალლიგელ „მიუნსტერიდან" და პირველივე სეზონში ჩემპიონობა მოიპოვა, ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**თურქეთის** ნაკრებისა და ინგლისური „ასტონ ვილას" მცველი ალფაი ოზალანი კლუბიდან წასვლას აპირებს. „უკვე შევხვდი კლუბის ხელმძღვანელობას. ამ დღეებში გაირკვევა ჩემი მომავალი. თურქეთში დაბრუნებას არ ვაპირებ. რამდენიმე ხელსაყრელი წინადადება მაქვს და ერთ-ერთს ავარჩევ" — თქვა 28 წლის ალფაიმ.

**ფრანგული** „ლანსი" ეგვიპტელი მუჰამედ ბარაქატათი დაინტერესდა. მწვრთნელი ბერნარ სიმონე თავად ესტუმრა კაიროს და „ალ-ისმაილის" ხელმძღვანელობას ბარაკატას სანაცვლოდ მილიონი დოლარი შესთავაზა. სიმონე დარწმუნებულია, რომ ეგვიპტელები მალე დათანხმდებიან.

**ესპანურმა** „დეპორტივომ" აისრულა დიდი ხნის წადილი და „სარაგოსას" პარაგვაელი ნახევარმცველი რობერტო აკუნია 11 მილიონი ევროს სანაცვლოდ წაჰგვარა. აკუნიას გადაბირებას მადრიდის „ატლეტიკოც" ცდილობდა, თუმც ლაკორუნიელებმა იმარჯვეს. სავარაუდოდ, პარაგვაელი ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

**ესტონეთის** ნაკრებისა და ინგლისური „დერბი ქაუნთის" მეკარე მარკ პოომი „ევერტონთან" აწარმოებს მოლაპარაკებას. ესტონელი გოლკიპერი საცაა, კონტრაქტს გააფორმებს, თუმც მცირე ფორმალობები ჯერაც შესათანხმებელია.

**იაპონური** „შიმიძუ ეს პულსის" ნახევარმცველი კაზუიუკი ტოდა შესაძლოა, ინგლისურ „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადავიდეს. შეთანხმება თითქმის მიღწეულია. საკონტრაქტო თანხა ჯერჯერობით უცნობია.

**იტალიური** „ლაციოს" პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ ბრაზილიის ნაკრებისა და „ატლეტიკო პარანენსეს" ნახევარმცველ კლებერსონს დაადგა თვალი და მის სანაცვლოდ 20 მილიონი ევროს გადახდას აპირებს.




ქირავდება აგარაკი კოჯორში

წაიყვანეთ ბავშვები, უკეთეს ადგილს სად ნახავთ

ფასი არ შეგაშინებთ

ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-2 ტური** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 001 | ლუცერნი-დელემონი | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 22.30 | 002 | სერვეტი-სენტ გალენი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 22.30 | 003 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 004 | ვილი-აარაუ | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 20.30 | 005 | თუნი-იანგ ბოიზი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,3 | 1,2 | 1,4 |
| 22.30 | 006 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 007 | ბაზელი-ქსამაქსი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. მე-2 ტური** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 008 | ლუგანო-სიონი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ვინტერთური-კრინსი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 20.30 | 010 | ვოლენი-ბადენი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 22.30 | 011 | ლოზანა-ივერდონი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 22.30 | 012 | შაფჰაუზენი-კონკორდია | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 22.30 | 013 | ბელინცონა-ვადუცი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| | | **ავსტრია. 1-ლი ტური** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 014 | აუსტრია-რიდი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 015 | აუსტრია-რიდი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 016 | შტურმი-რაპიდი | 1,75 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 22.30 | 017 | ბრეგენცი-გრაცერი | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 22.30 | 018 | პაშინგი-კერნტენი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 22.30 | 019 | ადმირა-ზალცბურგი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| | | **რუსეთი. მე-14 ტური** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 020 | ლოკომოტივი-ცსკა | 2,4 | 2,8 | 2,9 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| 16.00 | 021 | შინიკი-ანჟი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1 | 1,2 | 1,85 |
| 16.00 | 022 | როსტსელმაში-როტორი | 1,85 | 3,0 | 4,0 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 16.00 | 023 | კრილია-ტორპედო | 1,75 | 3,0 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 16.00 | 024 | ურალანი-სოკოლი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| | 025 | ურალანი-სოკოლი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 16.00 | 026 | ალანია-ზილ | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1 | 1,2 | 2,2 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 027 | სატურნი-დინამო | 1,8 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 028 | სპარტაკი-ზენიტი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| | | **შვედეთი. მე-9 ტური** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 030 | იურგორდენი-იორგრიტე | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 031 | ნორჩიოპინგი-ჰელსინგბორგი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,5 | 1,25 | 1,3 |
| | | **ფინეთი. გადადებული მატჩი.** | | | | | | |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 037 | ჰკ-კუოპიო | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| | 038 | ჰკ-კუოპიო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ინტერტოტო. მე-2 ეტაპი. მე-2 მატჩები** | | | | | | |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 046 | პაფნარფიორდური-ვილიარეალი | 4,0 | 3,1 | 1,8 | 1,7 | 1,2 | 1,1 |
| 19.30 | 047 | მარეკი-აშდოდი | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,1 | 1,2 | 1,6 |
| 20.00 | 048 | ლევადია-ციურიხი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,2 | 1,2 |
| 21.00 | 049 | ტრუა-კოლრეინი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1 | 4,65 |
| 21.00 | 050 | დინაბურგი-კრილია | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 21.00 | 051 | სენტ გალენი-ტილბურგი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 22.00 | 052 | ბრეგენცი-ტორინო | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 22.00 | 053 | ტეუტა-გლორია | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 054 | ლოკერენი-შტუტგარტი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 23.00 | 055 | სანტა კლარა-ტეპლიცე | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 23.45 | 056 | სენტ პატრიკსი-გენტი | 2,9 | 3,0 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **14 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 057 | ბატე-მიუნხენი | 3,1 | 3,2 | 2,1 | 1,55 | 1,2 | 1,25 |
| 20.00 | 058 | ბელენენსეში-სლავენი | 1,85 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,7 |
| 20.00 | 059 | ჰელსინგბორგი-სინოტი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 21.00 | 060 | ჰკა-ფულემი | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,15 |
| 21.00 | 061 | ჟალგირისი-სოშო | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **ლიბერტადორსის თასი. 1/2 ფინალი. 1-ლი მატჩები.** | | | | | | |
| | | **9 ივლისი** | | | | | | |
| 05.40 | 062 | სან კაეტანო-ამერიკა | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| | | **10 ივლისი** | | | | | | |
| 05.40 | 063 | ოლიმპია-გრემიო | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[ბ] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა № 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | აღმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

# ბორისას ძმაკაცები ამერიკაში წაუვიდნენ. თვითონაც იქ აპირებს

*თუ არ ჩავთვლით ნიკა ცქიტიშვილის ამერიკულ ამბებს, წლევანდელი სეზონი ქართველ ლეგიონერთა შორის ყველაზე იღბლიანი ვლადიმერ ბოისასთვის გამოდგა. ოთხი წლის წინ ლიუბლიანის „ოლიმპიაში" გადაბარგებული, თუმც სხვაგან განათხოვრებული ბოისა მოთმინებით ელოდა შანსს, რომელიც მისმა კლუბმა ამ სეზონის წინ მისცა. ვოვას მაშინდელი ოცნებაც ნაღდი ოლიმპიელობა იყო, რაც უკვე აუხდა – ბოისამ განვლო გზა „ოლიმპიას" სათადარიგოდან ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეობამდე. მის მხრებზეც გადაიარა სლოვენიის ჩემპიონატმა, თასმა და ადრიატიკის ლიგად წოდებულმა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების კლუბთაშორისმა ტურნირმა. „ოლიმპიამ" ყველგან იმარჯვა. ახალი მწვერვალის დაპყრობა ამოუჭრია გულში ვოვას, „ოლიმპია" მისი ახდენილი ოცნებაა. ახლა მისი ფიქრები გაცილებით შორს მიდის.*



ვლადიმერ ბოისა აწმყოთიც კმაყოფილია და წინაც იხედება

ბოისა გუშინ რედაქციაში გვეწვია და თავის დღევანდელობასთან ერთად მომავლის გეგმების კონტურებიც მოხაზა.

**— „ოლიმპიას" კარგა ხნით განათხოვრებული ჰყავდი, შარშან კი თავის გამოჩენის შანსი მოგცა. იფიქრებდი, რომ გუნდს ასე კარგად მოერგებოდი? სეზონის ბოლოსკენ ხომ ძირითად ხუთეულში თამაშობდი...**

— თავიდან ნაღდად არ მეგონა, ასე თუ იქნებოდა. მწვრთნელის ქცევიდან გამომდინარე, ამის იმედი ნაკლებად მქონდა. საგადინმა პირველი მატჩი არ მათამაშა, მეორეში კი ხუთეულში დამაყენა. მერეც ასე გრძელდებოდა — ხან ხუთეულში მათამაშებდა, ხანაც მოედანზე არ გავყავდი.

**— რის შემდეგ გამოგიცხადა საგადინმა ნდობა?**

— გასაკვირია, მაგრამ მხრის მძიმე ტრავმა მივიღე და როცა მოვმჯობინდი, მის მერე სულ ხუთეულში ვხვდებოდი. სანამ დავშავდებოდი, ბოლო ოთხი მატჩი კარგად ვითამაშე, ეტყობა, საგადინმაც ამ დროს გადაწყვიტა ყველაფერი. ისე, ერთმა ამბავმაც შემიწყო ხელი. ჩვენმა თავდამსხმელმა ტუნჯი ავოჯობიმ თამაშს მაგრა მოუკლო. თავიდან ძალიან მაგარი იყო, მაგრამ მერე რატომღაც გული აიცრუა. დილის ვარჯიშებზე არ მოდიოდა. ალბათ, ფინანსური გაჭირვების გამო ხელფასებს რომ აღარ გვაძლევდნენ, იმიტომ. ამ პოზიციაზე მოთამაშე სხვა კალათბურთელიც, იურიცა გოლემაციც ვერ ბრწყინავდა, მას ჯანი აკლდა და საგადინმაც ოთხ ნომერზე ჩემი თამაში გადაწყვიტა არადა, მანამდე ფრთა ვიყავი. მოკლედ, ამპლუა გამოვიცვალე და ხუთეულშიც დავმკვიდრდი.

**— თქმა არ უნდა, რომ ამ სეზონს ჯერჯერობით საუკეთესოდ მიიჩნევ კარიერაში...**

— სხვა თუ არაფერი, ეს სეზონი ყველაზე ტიტულიანი გამოდგა ჩემთვის. თამაშსაც ძალიან მოვუმატე, რაც ისევ „ოლიმპიას" დამსახურებაა. მკაცრ რეჟიმში ვართ. ვარჯიშზე სამი მწვრთნელი გვითვალთვალებს. თუ შეგამჩნიეს, რომ უგულოდ მუშაობ, მომდევნო მატჩს არ გათამაშებენ.

**— წლეულს მოგებულ ტურნირთაგან ყველაზე მეტად რომელში გაგიჭირდათ?**

— ადრიატიკის ლიგაში.

**— რატომ, იქ ხომ 24-დან 22 შეხვედრა მოიგეთ?**

— კი, მაგრამ, ბოლოს ისეთი ვითარება შეიქმნა, ბეწვზე გადავრჩით. მაგ ტურნირის ბოლოსკენ სერიოზული ფინანსური კრიზისი დაგვემუქრა. ის ორი მატჩიც მიყოლებით წავაგეთ — ჯერ შინ „კრკასთან" და მერე ლაშკოში „პივოვარნასთან". ნახევარფინალშიც ამ გუნდებთან და ზაგრების „ციბონასთან" ერთად გავედით. იმ პერიოდში ძალიან არაპოპულარული იყო „ოლიმპია", ჟურნალისტები, სპეციალისტები და უბრალო ხალხი, ყველა „კრკას" ჩემპიონობას ვარაუდობდა. გამოკითხვაც კი მოეწყო, რომელშიც ჩვენი იმედი მხოლოდ 5 პროცენტს ჰქონდა. ნახევარფინალში ძლივძლივს მოვუგეთ „პივოვარნას" და ფინალში „კრკას" შევხვდით. მთელი ჩვენი დარბაზი მოწინააღმდეგეს ქომაგობდა, „ოლიმპიას" მხარდამჭერი ასე, 500-მდე იქნებოდა, ისიც ნათესავ-მეგობრები. ყველაფერმა ამან გაგვაცოფა. ყველა გადარეული იყო, არც კრიზისი გვახსოვდა და არც ფული. „კრკა" გავაცამტვერეთ და დარბაზი გინებ-გინებით დავტოვეთ.

**— ჩემპიონატშიც იოლად გაუმკლავდით „კრკას" და „პივოვარნას"...**

— სლოვენიის ჩემპიონატი იოლად მოვიგეთ. არც ერთ თამაშში პრობლემა არ შეგვქმნია, წაუგებლად დავასრულეთ პირველობა.

**— ბარემ ევროლიგაზეც ვთქვათ. იქ კი ვერ იყოჩაღეთ...**

— სეზონის წინ პრემიებს დაგვპირდნენ, თუ სლოვენიის ჩემპიონატს, თასს და ადრიატიკის ლიგას მოვიგებდით, ოღონდ ერთი პირობით, ევროლიგის 16 საუკეთესოს შორისაც უნდა მოვხვედრილიყავით. როცა ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი დავძლიეთ, მიზანი მიღწეული იყო. მომდევნო ეტაპზე ჯგუფში სამ ბერძნულ გუნდთან მოვხვდით. ნათელი იყო, რომ მათთან ვერაფერს გავახერხებდით და პრესტიჟის შესანარჩუნებლად ვიბრძოდით. სამწუხაროა, რომ ექვსიდან ერთი თამაში მოვიგეთ, მაგრამ ამ მატჩმა „ოლიმპიაკოსი" ჯგუფში ჩატოვა.

**— ფინანსური კრიზისის გამო პრემიები მაინც არ მოგცეს. ახლა რა ვითარებაა?**

— რომ წამოვედი, ის მილიონნახევრიანი ვალი, რომელიც „ოლიმპიას" სახელმწიფოსი მართებს, ჯერაც გაუსტუმრებელი იყო. ამ ვალის გამო, ხუთი თვე ხელფასები და პრემიები რომ არ მიგვიღია. ახლა, როგორც გავიგე, ჩვენს სპონსორებს ვალები გადაუხდიათ. ვნახოთ, რომ ჩავალ, რა იქნება.

**— გუნდის დატოვებას ხომ არ აპირებ, რაიმე წინადადება ხომ არ მიგიღია?**

— არა, „ოლიმპიაში" დავრჩები. მენეჯერმა კი მითხრა, უფრო ფულიან და ძლიერ გუნდს მოგინახავო, მაგრამ არ მინდა. „ოლიმპიაში" ასეც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

**— მომავალი სეზონის მერეც მაგას ხომ არ იტყვი?**

— „ოლიმპიასთან" კონტრაქტი მომავალ წელს მიმთავრდება. თუ მოვინდომებ, დავრჩები, მაგრამ არ ვიცი, თუ ისევე სტაბილურად ვითამაშებ მომავალ სეზონს, როგორც ამ ბოლოს, დრაფტის პერსპექტივაც მექნება.

**— ეს შენი აზრია თუ...**

— ჩემი მენეჯერი მარკ ფლეიშერიც ამას მეუბნება, თუ ვერ გავაგრძელებ, დრაფტზე 20-დან 28-მდე გუნდები უპრობლემოდ აგიყვანენო. ამ კაცს დიდი გავლენა აქვს, თუ ამბობს, ესე იგი, ასეა. არ ვიცი, ჯერ წინ მთელი სეზონი მაქვს, აქედანვე რომ თავში ნბა ჩავიდო, არაფერი გამომივა. ჩემს საქმეს გავაგრძელებ და ვეცდები, „ოლიმპიაში" გავიმყარო ადგილი.

**— არადა, „ოლიმპიაში" ადგილგამყარებული წლევანდელ დრაფტზე მე-16 ნომრად აიყვანეს.**

— ირფი ველში ჩემი მეგობარია. თავისუფალ დროს ერთად ვატარებდით. ის მართლა ძლიერი კალათბურთელია და არც გამკვირვებია ნბა-ში რომ მოხვდა. რომ მიდიოდა, მითხრა, თუ პირველ რაუნდში ამიყვანეს, უბედნიერესი ვიქნებიო. მეთექვსმეტეობას ნაღდად არ ელოდა. მისი კოზირი სროლაა, ამერიკელებიც, ალბათ, უფრო ამიტომ ენდნენ.

**— ველშს და კიდევ სხვა ევროპელებს თუ გამოცდილება საკმარისი ჰქონდათ, ნიკა ცქიტიშვილს ამერიკელები მხოლოდ პერსპექტივის გამო ენდნენ. თუ იყო კიდევ სხვა რამ?**

— არა, მეც ეგრე ვფიქრობ. ამერიკელები სხვებზე წინ იყურებიან. ვინ იყო გასოლი? მას ნიკაზე კარგი მონაცემები არ ჰქონია. „ცქიტო" გაცილებით პერსპექტიულია. გასოლი წლეულს საუკეთესო ახალბედა გახდა. ეს რომ ნახეს, ნიკასაც ეგრევე დაავლეს ხელი. მისგან ნაღდად მაგარ მოთამაშეს დააყენებენ.

**— მეორე, უფრო სწორად კი, პირველ ქართველ ნბა-ელთანაც ხომ ახლობლობ. ვლადიმერ სტეფანია ახლახან სლოვენიაში იმყოფებოდა...**

— ვოვა დასასვენებლად ჩამოვიდა, თან ფეხს მკურნალობდა. თავისუფალ დროს კი ვხვდებოდი, მაგრამ მომავალ გეგმებზე არ საუბრობდა. არ ვიცი, მგონი, „მაიამიდან" წამოვიდა.

**— სიტყვამ მოიტანა და, თავისუფალ დროს ვისთან და როგორ ატარებ ხოლმე?**

— ხომ ვთქვი, ველშთან ვმეგობრობდი-მეთქი. თუ ორი დღე ვისვენებდით, იტალიაში მივდიოდი ნიკა ცქიტიშვილთან. ლიუბლიანიდან ტრევიზომდე ორსაათნახევრის გზაა. ახლა ორივენი ნბა-ში წავიდნენ. ვინმეს გამოვნახავ, არ გამიჭირდება. თან ქართველებიც იქ არ არიან?!

**— სლოვენიას როდის უბრუნდები?**

— თვის ბოლოს. ისე, მართალი გითხრათ, ძალიან მომენატრა სლოვენია. ორი კვირაა აქ ვარ და ველარ ვჩერდები. ოთხი წლის მანძილზე ამ ქვეყანამ მაგრად შემაყვარა თავი.

**— ქვეყნის სიყვარულმა ხომ არ გადაგაწყვეტინა სლოვენიელებთან დამოყვრება, შენი საცოლე ხომ იქაურია?**

— ალბათ, ასეც არის.

**ირაკლი ბერტაია**

# გაამზადეთ მილიონები, ახალთაობა მოდის!

*რა ხანია, დამთავრდა სეზონი, ჩაიარა დრაფტმაც და ახლის დაწყებამდე ნბა-მ თითქოს უნდა ჩათვლიმოს, მაგრამ ოკეანგაღმეთში მაინც შეინიშნება ფუსფუსი. თავისუფალ აგენტთა ბაზარი ოფიციალურად 17 ივლისს იხსნება. ამ დღეს ნბა ახალ სახელფასო ფონდს დაუდგენს გუნდებს და თავისუფალ აგენტებს ძველ ან ახალ კლუბებთან კონტრაქტების დადების უფლებასაც მისცემს.*

*ბაზარზე უკონტრაქტო ვეტერანთა გამოსვლამდე კი, რომელთა შორისაა ჩვენებური ვლადიმერ სტეფანია, ყურადღებას ნადრაფტალი ახალბედები იქცევენ. მათ შორისაც ურევია ქართველი. მე-5 ნომრად „დენვერის" აყვანილი ნიკოლოზ ცქიტიშვილი ამერიკაშია და სხვა ნადრაფტალი ბიჭებივით ახალი კლუბისაგან კონტრაქტს ელის. ვეტერანთაგან განსხვავებით, ნბა დროში არ ზღუდავს ახალბედებს და მათაც უკვე დაიწყეს კლუბებთან ხელშეკრულებების გაფორმება.*



**უნდა, არ უნდა, კერონ ბატლერი მაიამშია**

**ვლადიმერ სტეფანიას** მესამე და ჯერჯერობით უკანასკნელმა ნბა-ურმა კლუბმა „მაიამი ჰითმა" კონტრაქტი გაუფორმა დრაფტში მე-10 ნომრად აყვანილ 198-სანტიმეტრიან ჩაუქ ფორვარდ კერონ ბატლერს. მხარეებს არ გაუმჟღავნებიათ კონტრაქტის პირობები, მაგრამ ხმები დაირხა, ბატლერი სამი წლით მიეკედლა პატ რაილის გუნდს ჯამური 4,5 მილიონის ფასადო.

კონექტიკუტის ყოფილ ვარსკვლავს „მაიამიში" ჩარიცხვით განსაკუთრებული კმაყოფილება არ გამოუხატავს. ის არც იმით იყო კმაყოფილი, რომ დრაფტში ამ გუნდმა აირჩია. ბატლერი თვლიდა, რომ დრაფტის მეათე ნომრობას კი არა, ხუთეულში მოხვედრას და შესაბამისად უფრო დიდ ხელფასს იმსახურებდა. ნადრაფტევს ბოლმით უთქვამს — იმ გუნდებს, რომლებიც დრაფტზე აყვანას შემპირდნენ და პირი მიტეხეს, მწარედ ვაზღვევინებ მოტყუებას, როგორც კი პროფესიონალი გავხდებიო.

რაც შეეხება მის გუნდს, „მაიამი" სწორედაც რომ კმაყოფილი უნდა იყოს ამ ბიჭის აყვანით. ბატლერი ყოჩაღი და ამბიციური ნიჭით სავსე ბიჭია, თან ამპლუით ამერიკულად მსუბუქი ფორვარდი, ქართულად კი ფრთაა. ამ პოზიციაზე კი „მაიამის" ყველაზე მეტად უჭირს. მწვრთნელი პატ რაილი მისგან პირველივე სეზონში ელის რაიმე განსაკუთრებულს და იმედოვნებს, რომ „ჰითი" ახალ ვარსკვლავთან ერთად დაბრუნდება პლეი ოფში.

არც სხვა კლუბები კარგავენ დროს. „ფინიქსმა" სამი წლით თავისთან დაიგულა მე-9 ნომრად არჩეული 19 წლის ამარ სტუდემაიერი და საამისოდ საკუთარი სალაროდან კალათბურთელის საბანკო ანგარიშზე ექვსი მილიონის გადარიცხვა მოუწევს. სტუდემაიერი ყოფილი სკოლის მოსწავლეა, სტუდენტურ ლიგაში არ უთამაშია, ისე გამოსწია სადრაფტოდ და აგერ, მეცხრე ნომერიც გახდა. „ფინიქსმა" კონტრაქტი დაუდო სხვა ნადრაფტალ ახალბედასაც — კეისი იაკობსენს, რომელიც ასევე პირველ წრეში 22-ე ნომრად აუყვანია.

„პეისერზმა" ამ უქმეებზე ხელშეკრულება გაუფორმა ამა წლის დრაფტში მე-14 ნომრად აყვანილ 193-სანტიმეტრიან ფრედ ჯონსს, ვისაც მობერებული სნაიპერის რეჯი მილერის შემცვლელად მოიაზრებს. კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა.

ასევე უცნობია, რა ხნით და რამდენი მილიონის ფასად ჩაირიცხა „ლოს ანჯელეს ლეიკერსში" 198-სანტიმეტრიანი მსროლელი ქარიმ რაში. დრაფტის პირველი წრის ბოლოსწინა, 27-ე ნომერი. ამ ბიჭს კარგი შანსი აქვს, კობი ბრაიანტის შემცვლელად ჩამოყალიბდეს.

როგორც იქნა, აისრულა ოცნება და ნბა-ში გადავიდა 211-სანტიმეტრიანი ბერძენი ცენტრი ეფტიმოს რენციასი. რენციასი 1996 წლის დრაფტში 23-ე ნომრად „დენვერმა" ირჩია, თუმც კონტრაქტი არ გაუფორმა, რადგან ნბა-სთვის არასაკმარისად მზადმყოფად მიიჩნია. გაწბილებულმა ბერძენმაც მშობლიურ კონტინენტს მოაშურა და ხუთი წელი „ბარსელონას" მტრებზე იყრიდა ნბა-ელთა ჯავრს. მრავალსვლიანი გაცვლის შემდეგ რენციასისთვის კონტრაქტის გაფორმების ექსკლუზიური უფლება „ფილადელფიას" გაუჩნდა და ამ კლუბმაც რამდენიმე დღის წინ აუსრულა წადილი ბერძენ გიგანტს. რენციასს „ფილადელფიაში" ორი უცხოელი ცენტრი დახვდება კონკურენტად — სახელგავარდნილი კონგოელი დიკემბე მუტომბო და უსახელო ჰაიტელი სამუელ დელემბერტი.



**ეფტიმოს რენციასმა ოცნება აიხდინა, ნბა-ში გადაბარგდა**

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უიმბლდონი 2002

# მოემზადეთ ბევრი შავი ფინალისთვის



ვინუსი და სერენა ფინალში, სხვები ძალიან შორს

REUTERS უიმბლდონიდან





უილიამსური ტრიუმფის შემქმნელები: მამა რიჩარდი და დედა ორასინი

REUTERS უიმბლდონიდან





დობა დობად, მეტოქეობა მეტოქეობად... სერენამ დაიკოს მუშტიც კი მოუღერა

REUTERS უიმბლდონიდან

ავთანდილ სვანიძე

ლონდონიდან



### ქალები

**ფინალი**

**სერენა უილიამსი (2, აშშ) — ვინუს უილიამსი (1, აშშ) 7:6 (7:4) 6:3**

აქამდე ოჯახური მატჩები უნებლიე შეცდომების კორიანტელის გამო მეტად უხეირო საცქერი იყო — როლან გაროსისა და აშშ-ის ღია პირველობის ფინალებში შავი დები ისე ცუდად ირჯებოდნენ, ბევრმა მიიჩნია, შედეგებზე წინასწარ თანხმდებიან და, ეტყობა, რიგრიგობით მოგების პაქტი დადესო. „ფსიქოლოგიურად სერენასთან თამაში ძალიან მიძნელდება. საქმე ის არის, რომ, რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, თავად გავიმარჯვო, მაგრამ ამასთან არც ის მინდა, მან წააგოს“ — ასე ახსნა ვინუსმა პირადი შეხვედრების დაბალი ხარისხი.

შაბათის მატჩი დებს შორის აქამდე გამართული ორთაბრძოლებიდან სასიამოვნოდ განსხვავდებოდა — აუტისა და ბადის ნაცვლად ბურთი, როგორც წესი, კორტის ფარგლებში თავსდებოდა, მაყურებლებსაც, პარიზისგან განსხვავებით, სტვენის საბაბი არ გასჩენიათ.

სერენამ შეხვედრა უკეთ დაიწყო და 5:3-ზე რამდენიმე უხეში შეცდომა რომ არ დაეშვა, ფინალი საათზე ნაკლებსაც გასტანდა. უმცროსი უილიამსი გაცილებით აგრესიულად ირჯებოდა, ბურთს შემაშინებელი ძალით, თანაც გამუდმებით რისკიანად, ხაზთან ახლოს გზავნიდა და უფროს დას თავქუდმოგლეჯილს დაარბენინებდა იქით-აქეთ. ვინუსმა პირველ ხელში რის ვაი-ვაგლახით მიატანა ტაი-ბრეიკამდე, მაგრამ გაუჩერებლად სირბილისგან მალე ისე დაიღალა, გათამაშებებს შორის სულს ძლივს ითქვამდა.

6:4-ზე ტაი-ბრეიკზე სერენას პირველი მოწოდება ბადეს გაეკარა, მთავარმა მსაჯმაც ქულის გადათამაშება მოითხოვა, მაგრამ დები სკამებისკენ გაემართნენ, ქულა და მასთან პირველი სეტიც უმცროს უილიამსს დარჩა. მეორე ხელში სერენას უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო — ის მხოლოდ მატჩის მიწურულს განერვიულდა, როდესაც გამარჯვებას მიტანებულმა მალიმალ ღრმად და გაჭირვებით იწყო სუნთქვა. პირველივე მატჩპოინტზე ვინუსის შეცდომის შემდეგ უმცროს უილიამსს ჩოგანი ხელიდან გაუვარდა, მხრები აიჩეჩა და სანამ გონს მოეგებოდა, აქეთ-იქეთ გაოცებულმა მიმოიხედა. მერე ტრიბუნების ოთხივე მხარეს საჰაერო კოცნა გაუგზავნა და ბადესთან დას გადაეხვია.

უილიამსებმა იქვე დაივიწყეს მტრობა და გაცხარებული საუბარი გააჩაღეს: „სერენას ვურჩიე დაჯილდოების ცერემონიალზე როგორ მოქცეულიყო, რათა ეტიკეტი არ დაერღვია, მაგალითად, მთავარი ჯილდოს მიღების დროს თავი დაეკრა. პირველ წელს ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს და სულელივით იქით-აქეთ დავრბოდი“.

კაცივით დაკუნთული მკლავებით, მოჭიდავის მხარ-ბეჭითა და ოხვრა-გმინვით დები ერთმანეთის ალი-კვალი არიან, მაყურებლებიც მუდმივად გადაუჭრელი დილემის წინაშე დგანან — აბა, რა მნიშვნელობა აქვს, რომელს უქომაგებ, თუმცა კორტსგარეთ სერენას და ვინუსს შორის განსხვავება ძნელი შესამჩნევი არ არის.

ვინუსი ხმადაბლა და ნელა ლაპარაკობს, ინტონაციითა და გამომეტყველებით დისნეის მულტფილმების გმირ გუფის წააგავს და კითხვებზე პასუხი ლამის ძალით უნდა ამოგლიჯო პირიდან, „მე შინაც ასეთი ვარ... მაშინ, როდესაც სერენა სულ რაღაც წვეულებებზე დადის და უამრავი მეგობარი ჰყავს, მე ოთახში ჯდომა და ტელევიზორის ცქერა ან წიგნის კითხვა მირჩევნია — არ დაუმალავს უფროს უილიამსს, რომლის საყვარელი პასუხი ორი სიტყვის „არ ვიცისგან“ შედგება — მარცხი სასიამოვნო როდისაა, ვისთანაც არ უნდა წააგო. დღეს სერენასთან გამკლავება თითქმის შეუძლებელი იყო.“

სერენა, რომელსაც მუშტების მოღერება საკუთარ დასთან შეხვედრის დროსაც არ დაზარებია, გაცილებით, ემოციური და გულღია ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და პრესკონფერენციებიდან რაც შეიძლება ადრე გაქცევაზეც არ უჭირავს თვალი. „მე ბევრს ვიღიმები, ბევრს ვიგებ და მართლა სექსუალური ვარ, რა თქმა უნდა, სარეკორდო სარეკლამო კონტრაქტსაც ვიმსახურებ“ — განაცხადა უმცროსმა უილიამსმა, რომელსაც მალე „პუმასთან“ ხელშეკრულების ვადა გაუდის.

„წლის დასაწყისში საკუთარ თავს ვუთხარი, მეტი არაფერი მაინტერესებს, წლეულს უიმბლდონი აუცილებლად უნდა მოვიგო-მეთქი. მამაჩემი ყოველთვის ამბობდა, რომ ერთ დღეს ჩვენ დიდი სლემის ტურნირების ფინალში შევხვდებოდით ერთმანეთს. წარმოუდგენელია, რომ მისი სიტყვები 10-15 წლის შემდეგ ასე ზუსტად ახდა, ერთი ოჯახიდან ერთბაშად ორი ჩემპიონის ყოლის შანსი, ალბათ, მილიონში ერთია. უიმბლდონი იმხელა პრესტიჟს, ისტორიაში მოხვედრას ნიშნავს, ეს კი ჩემი მთავარი მიზანია“.

***— კორტზე მუდმივად აგრესიულად და მეტოქეთა დამაშინებლად გამოიყურებით, კორტსგარეთაც ასეთი ხართ?***

— არა, საშინლად ემოციური არსება ვარ, მაგალითად, ფილმის ცქერისას სულ ცრემლებს ვაღვარღვარებ, კინოში ჩემთან ერთად წასვლაც კი არავის უნდა. ისე, როგორც ყველაზე უმცროსი, საშინლად თავნება და ჯიუტი ვარ, ჩემი აუცილებლად უნდა გავიტანო, ბოლოს და ბოლოს ყველაფერში მითმობენ-ხოლმე.

***— როგორი შეგრძნებაა უიმბლდონის მოგება და თანაც მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომა?***

— ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი, მაგრამ ალბათ რაღაც დრო უნდა გავიდეს, რათა ხეირიანად შევიგნო, რასაც მივაღწიე. რაღა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, შარშან ამ დროს ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს მოხდებოდა. უამრავი ტრავმის გამო ბევრს ვერ ვთამაშობდი, ოპტიმისტურადაც არ ვიყავი განწყობილი, მაგრამ ახლა მძიმე შრომის შედეგებს ვიმკი.

***— რამდენად განსხვავდება სერენა უილიამსი ჩვეულებრივი 20 წლის გოგოსგან?***

— ჩემი ცხოვრება სულ სხვაგვარია, შეიძლება, ზოგიერთი თანატოლი პოპ-ვარსკვლავი თუ ცხოვრობს ასე. მე ნორმალური ვარ, ყველაფერი ეს თავში არ მივარდება, ჩვეულებრივი მეგობრები მყავს, თუმცა განსხვავება ძალიან დიდია, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

დღესდღეობით დები უილიამსები რიგითი თინეიჯერებისგან კი არა, კოლეგებისგანაც არანაკლებ გამოირჩევიან. ალბათ, კარგა დრო გავა, სანამ მათი 21-ე საუკუნის ჩოგბურთთან გამკლავებას ვინმე მოახერხებს, მანამდე კი შეემზადეთ კიდევ ბევრი შავი ფინალისთვის.

### ქალთა წყვილები

**სერენა უილიამსი, ვინუს უილიამსი (აშშ) — ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი), პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:2, 7:5**

### ვაჟთა წყვილები

**იონას ბიორკმანი (შვედეთი), ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — მარკ ნოულზი (ბაჰამები), დანიელ ნესტორი (კანადა) 6:1, 6:2, 6:7 (7:9), 7:5**

### შერეული წყვილები

**მაჰეშ ბჰუპატი (ინდოეთი), ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — კევინ ულიეტი (ზიმბაბვე), დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) 6:2, 1:6, 6:1**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უიმბლდონი 2002

# ჰიუიტმა ოცნება ტაბლოზე დაინახა





ჩემპიონები კოცნიან თასს, ქალები კოცნიან ჩემპიონებს: ლეიტონ ჰიუიტი გულის მურაზ კიმ კლაისტერსის მკლავებში

**ვაჟები**

**ნახევარფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი (28, არგენტინა) — ქსავიე მალისი (27, ბელგია) 7:6 (7:2), 6:4, 1:6, 2:6, 6:2**

**ფინალი**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — დავიდ ნალბანდიანი 6:1, 6:3, 6:2**

1999 წელს უიმბლდონის იუნიორთა ნახევარფინალში გასულ დავიდ ნალბანდიანს მეტად უსიამოვნო ამბავი შეემთხვა: სამ საათზე დანიშნული მატჩი მისთვის შეუტყობინებლად ცოტათი ადრე გადაიტანეს და სანამ არგენტინელი სადილობდა, გამოუცხადებლობისთვის წაგება ჩაუთვალეს. 20 წლის ჩოგბურთელი მაშინ კი არა, ორი კვირის წინაც ვერ წარმოიდგენდა, რომ „ოლ ინგლენდ კლაბში" ფინალში გასვლის შანსი კიდევ ერთხელ მიეცემოდა — აქამდე პროფესიონალებში ბალახზე მას ერთ ტურნირზეც არ ეასპარეზა.

„ლონდონში წამოსვლამდე ბუენოს აირესში ბალახზე რამდენიმე დღე ვივარჯიშე. თავიდან ყველა სეტს 1:6, 2:6 ვაგებდი, მერე ცოტათი შევეჩვიე და ტაი-ბრეიკამდე მივატანდი-ხოლმე, თუმცა მაინც ვერავის ვჯობდი. დედაჩემს დავუბარე, უქმეებზე შინ დავბრუნდები-მეთქი, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ორ წრეზე მეტს გავცდებოდი".

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი ლონდონს ცოტა სხვაგვარი განწყობით ეწვია: „ჯერ კიდევ ოთხი, ხუთი თვის წინ ვუთხარი ჯეისონს (სტოლტენბერგი, ჰიუიტის მწვრთნელი), რომ ერთი სული მქონდა, უიმბლდონი როდის დაიწყებოდა. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ ვიცოდი, რომ წლეულს წარმატებულად ვიასპარეზებდი, თუმცა ჩემპიონი თუ გავხდებოდი, რა თქმა უნდა, ვერ გეტყოდით. თუ ფრთხილად არ იქნები, შეიძლება, სულაც პირველ წრეში წააგო."

რომელი ჩოგბურთელი უფრო ღელავდა, პირველი გათამაშების დროსვე გახდა ცხადი — არგენტინელმა შეხვედრა ორმაგი შეცდომით დაიწყო, ზედიზედ რამდენჯერმე მარტივ სიტუაციაში ააცილა ბურთი და სანამ გასამხნევებლად ლოჟაში მჯდომ მწვრთნელს გახედავდა, ანგარიში უკვე 4:0 იყო ჰიუიტის სასარგებლოდ.

ავსტრალიელმა პირველ ხელს ნახევარ საათზე ნაკლები დაახარჯა, მეორის დასაწყისში კი ნალბანდიანს ჭირვეულმა ინგლისურმა ამინდმა სულის მოთქმის საშუალება მისცა — 1:0-ზე გაწვიმდა და ჩოგბურთელები გასახდელისკენ გაემართნენ. საბედნიეროდ, თავსხმა მცირე ხანს გაგრძელდა, ზედ ცალკარა შეხვედრის განახლების წინ კი მაყურებლების გართობა ჩოგბურთელებზე უკეთ მოულოდნელად ცენტრალურ კორტზე აღმოჩენილმა „სტრიკერმა" მოახერხა.

ტრიბუნებიდან გადმოხტარმა მამაკაცმა ტანსაცმელი სწრაფად შემოიძარცვა, აქეთ-იქით ცმუკვა-სირბილი დაიწყო და მის კორტსგარეთ მისაბრძანებლად ლამის ორი წუთის მერეღა გამოჩენილ მცველებს საყოველთაო ხარხარში კარგა ხანი უსხლტებოდა ხელიდან. 37 წლის მარკ რობერტსი, რომელმაც მსგავსი შოუ წლეულს ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც მოაწყო, ბადეს მარჯვედ გადააფრინდა, ცოტა წაიცეკვა და მანდილოსანი წესრიგის დამცველის მკლავებში აღმოჩენამდე ტრიბუნებისთვის თავის დაკვრაც კი მოასწრო.

ნალბანდიანი კორტზე დაბრუნების მერე გაცილებით უკეთ ირჯებოდა, მეტოქისთვის ერთხელ მოწოდების ართმევაც მოახერხა და უკანა ხაზიდან უიმბლდონის ფინალისთვის მეტად უჩვეულო, ხანგრძლივი გათამაშებების დროს უკვე ნაკლებად ცდებოდა. ამჯერად უკვე არგენტინელის სამწუხაროდ, მეორე ხელში 3:3-ზე მატჩი კიდევ ერთხელ შეწყდა წვიმის გამო, რამდენიმე წუთში უკან მობრუნებისას კი ჰიუიტმა მცირე სპურტი მოაწყო: თუ მანამდე ბურთის გადაგდება-გადმოგდებითაც კმაყოფილი იყო, მოულოდნელად მეტოქის შედარებით სუსტ, ბექჰენდის მხარეს შეუტია, ბადესთან რამდენჯერმე გაიჭრა და მალე ორი სეტით დაწინაურდა.

გამარჯვებულის ბედი, ფაქტობრივად, მაშინვე გახდა ცხადი: საოცარი სტაბილურობითა და სისწრაფით გამორჩეული მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხება აგრესიული თამაშით უკანა ხაზიდან მკვლელი დარტყმების პატრონ მეტოქეებს თუ შეუძლიათ, ტანად არცთუ დიდ ნალბანდიანს კი ფიცხი ოზის გასამწარებლად არანაირი იარაღი არ გააჩნდა.

პირველ მატჩ-პოინტზე განერვიულებულმა ჰიუიტმა ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მეორეზე ნალბანდიანის დარტყმული ბურთი აუტში რომ გადავარდა, კორტზე გაიშოტა და კარგა ხანი არ წამომდგარა: „მანამდე ტაბლოს რამდენჯერმე გავხედე, მართლა უიმბლდონის ფინალში ვარ და მოგებას ერთი ქულა მიკლია-მეთქი? ავსტრალიელებისთვის ეს ტურნირი ყველაზე მნიშვნელოვანია, პატარაობიდან ვოცნებობდი აქ ტიტულის მოპოვებაზე. გასახდელში რამდენიმე ოზი ლეგენდა დამხვდა ლუდით ხელში — ფრენკ სეჯმანი, კენ როზვოლი, ნილ ფრეზერი, ჩემპიონთა კლუბში მიღება მომილოცეს. ჯერაც მგონია, სიზმარში ვარ".

„ვწუხვარ, რომ მაყურებლებს უკეთესი რამ ვერ ვაჩვენე. გაისად შევეცდები, დანაშაული გამოვისყიდო — განაცხადა პრესკონფერენციაზე ნალბანდიანმა, რომელიც ბოლო რამდენიმე დღის მანძილზე მაყურებელთა და ჟურნალისტთა საერთო ფავორიტი გახდა და ინტერვიუს შემდეგ ჩემი ჩათვლით ბევრმა წარმატებაც უსურვა მომავალში — ცოტა ვღელავდი, მაგრამ ლეიტონი ისე კარგად თამაშობდა, დღეს, ალბათ, მაინც ვერაფერს გავხდებოდი".

არგენტინელმა ფინალში გაღწევისთვის ჩემპიონზე ორჯერ ნაკლები — 262 500 გირვანქა მიიღო და ბევრი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გაიხუმრა, ამ ფულს არგენტინულ ბანკში არას დიდებით არ შევიტანო. ქართველებს მიზეზების განმარტება ნაღდად არ გვჭირდება.



დავიდ ნალბანდიანი

# მეფე დავიდის საპოთდოგეში

## ერთი სიხარული „ამ დამპალი მთავრობის ხელში"




ბედნიერი მოხუცი მამა ნორბერტო ნალბანდიანი საახლობლო-სამეზობლოში

**არგენტინულ** ქალაქ უნკილოში, რომელიც ბუენოს აირესიდან 10 საათის სავალზეა, კვირა საღამოს დიდი ზარზეიმი გამართულიყო — წლევანდელი უიმბლდონის ფინალისტის, დავიდ ნალბანდიანის ნათესავები და მეგობრები ქუჩებში გამოფენილიყვნენ და მათი ფალავნის წარმატებას აღნიშნავდნენ.

აღსანიშნი თითქოს რა იყო, ვგრე დამთრგუნველად — და ლეიტონ ჰიუიტმა არმენოგაუჩოს 6:1, 6:3, 6:2 სძლია — ჯონ მაკინროის მიერ ჯიმი კონორსის 6:1, 6:1, 6:2 ძლევის შემდეგ, რაიც შორეულ 1984-ში მოხდა, არც ერთ გამარჯვებულს ფინალისტი არ დაუმარცხებია.

მაგრამ საოცარი ეკონომიკური სიდუხჭირის, პოლიტიკური აღრეულობისა და ეს-ესაა მოთავებული მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატიდან თვისტომთა უსახელო გამოვარდნის ფონზე ნალბანდიანის საუიმბლდონო გარჯას იქაურთათვის გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა. ეგ მით უფრო, რომ მსოფლიოს ამ უპრესტიჟულესი საჩოგბურთო ტურნირის ფინალში აქამდე არც ერთ არგენტინელს არ ეთამაშა.

„მისმა თამაშმა ჩვენი ყოველდღიური ტანჯვა-წვალებისგან გამოგვაფხიზლა, ცოტა სული მოგვათქმევინა და ამ დამპალი მთავრობის მიერ გათელილი ღირსება დაგვიბრუნა — ამბობდა ოდნავ შეზარხოშებული ნორბერტო ნალბანდიანი, დავიდის მამა, ერთი რიგითი, მუყაითი ავტომექანიკოსი.

ნორბერტოს თავისი ხელით დაწურული ღვინო დაელია, ამ ღვინითვე უმასპინძლდებოდა ფინალის დროს მის ღარიბულ სახლში მოჯარულ მოკეთეებს, რომლებიც ისევე ჯიგრიანად ქომაგობდნენ მეჩოგნე თანაქალაქელს, როგორც რიკელმესა თუ ბატისტუტას ქომაგობენ ხოლმე.

ჰო, უნკილოში ახლა მართლაც „ნალბანდომანიაა". ნორბერტოს სახლის მახლობლად მდებარე საპოთდოგეს „მეფე დავიდის" სახელი დაერქვა, ხოლო იქაურსავე გაჩერებას უკვე „დავიდის კუთხეს" უხმობენ.

„მოიგო თუ წააგო, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ისაა, რომ აქამდე გაუგონარი ამბავი გააკეთა — ილოცებოდა ნორბერტო ნაფინალევს — დავიდმა გაჭირვებულ ხალხს სიხარული მოუტანა და ამაზე კარგი რა უნდა იყოს. იმის აღწერა, რასაც ჩვენ ახლა განვიცდით, ალბათ შეუძლებელია, ეს დაუვიწყარი მომენტია ჩვენი ოჯახისა და ქალაქის ცხოვრებაში".

„მისი თავი ღმერთმა გამოგვიგზავნა" — დასძინდა ხორხე, უნკილოელი მეწვრილმანე, რომელიც ჩოგნის თარგზე გამოჭრილ, ღვინით დალაქავებულ ეროვნულ დროშას აქნევდა.

„ის, რაც ფეხბურთელებმა ჩაგვისვარეს, დავიდმა მოგვწმინდა" — ამატებდა ლაზარე, ისტორიის მასწავლებელი, და მთვრალ, ალტყინებულ თვალებს ჩალამებული პამპასებიდან წამოფრენილ ჭილყვავებს აყოლებდა.

**ლევან ძელაურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურ დე ფრანსი 2002

# უნდა კი პელოტონს მამასახლისი?



REUTERS ლუქსემბურგიდან

პროლოგ-უვერტიურაში სოლო ლენს არმსტრონგისა იყო

**ლამის** საუკუნის ტრადიციის მქონე მრავალდღიანი ძნელად თუ გამონახავს ქალაქს, ან გავლით არ ყოფილიყოს, ანდა კუდი მაინც არ მოექნიოს. ლუქსემბურგი ტურ დე ფრანსისთვის ნაცადი ქალაქია. მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. ცხოვრება ძველ, ნორმალურ კალაპოტში დგებოდა. ბუნებრივია, განახლდა ეს პოპულარული შეჯიბრებაც. ტურის მესამე ეტაპს ლუქსემბურგი მასპინძლობდა. ფინიშთან პირველი იტალიელი რონკონი იყო.

1989 წელს პროლოგიცა და პირველი ეტაპიც ლუქსემბურგში მოეწყო. პროლოგში ჰოლანდიელმა ბრუკინკმა დაჩაგრა მეტოქეები, ეტაპი კი პორტუგალიელმა და სილვამ მოიგო.

1992 წელს ლუქსემბურგი ინდივიდუალურ რბოლას მასპინძლობს. პირველი იყო იმ დროისთვის ტურის ორგზის ჩემპიონი ესპანელი მიგელ ინდურაინი.

და აი, ისევ ლუქსემბურგი, ისევ პროლოგი და პირველი ეტაპი. ყველაფერი ძველებურადაა. დიდი და პატარა ქუჩებშია გამოფენილი — ტური ხომ დიდი პატივია ნებისმიერი ქალაქისთვის.

სხვათა შორის, სანამ საორგანიზაციო კომიტეტი ყოველი მომავალი ტურის მარშრუტს დაადგენს, ქალაქების მერებსა და საორგანიზაციო კომიტეტს შორის დიდი ვაჭრობა იმართება. ვინც მეტ ფულს გამოვა, მასპინძლობის (სტარტის ან ფინიშის) უფლებასაც ის ეპატრონება. ეს რაც შეეხება ფრანგულ ქალაქებს, სხვებისას ხომ ნუღარ იტყვით. „დიდი მარყუჟი" არცთუ ხშირად გადაკვეთს ხოლმე საფრანგეთის საზღვრებს, ამიტომ თითოეული, სულ უბრალო შევლაც კი მართლაც წარმოუდგენელ აჟიოტაჟს იწვევს ნებისმიერ ქალაქში. ყველა გზა რომში კი მიდის, მაგრამ ლუქსემბურგი, როგორც ჩანს, ყველაზე იღბლიანი ქალაქია.

### პროლოგი

ყველაფრით იგრძნობა, რომ ტურის სამგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგი გავლილი გზის კიდევ ერთხელ გამეორებას აპირებს. 1999 წელს ამერიკელმა პროლოგი მოიგო, 2000 წელს მეორე იყო, 2001-ში — მესამე. ეს მესამე ადგილი ჩემპიონს მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა და ისევ თავიდან დაიწყო.

თუმცა, მოდი ჩვენც თავიდან დავიწყოთ.

პროლოგი ტურისთვის იგივეა, რაც ოპერისთვის უვერტიურა. პროლოგი სწრაფმავალია (სულ 7 კილომეტრია), მაგრამ ამ სამკვირიანი უმძიმესი შეჯიბრებისთვის — როგორც მაყურებლებისთვის, ისე სპორტსმენებისთვის — შესაბამის და რაც უფრო მთავარია, მშვენიერ განწყობას ქმნის. ამ განწყობას კიდევ უფრო მაჟორული ჟღერადობა შესძინეს ვეტერანებმა. ძნელად თუ ვინმე ელოდა ორი ლორანისგან, ბროშარისა და ჟალაბერისგან ასეთ თავგანწირულ ბრძოლას ტურის პირველსავე დღეს. პროლოგი დასასრულს უახლოვდებოდა და ბროშარის შედეგი 9 წუთი და 14 წამი უკვე ყოველგვარი ეჭვის გარეშე იძლეოდა საპრიზო საფეხურის გარანტიას. და აი, „ფესტინას" ელექტროტაბლოზე 9 წუთი და 10 წამი აინთო. ფინიშთან კი მსოფლიოს საუკეთესო ტაქტიკოსი, ფრანგი ჟალაბერი იღებდა მილოცვებს. თუმცა „ჟაჟას" სიხარულმა დიდხანს ვერ გასტანა. სულ ბოლოს დისტანციაზე, როგორც წესი და რიგია, ტურის შარშანდელი ჩემპიონი არმსტრონგი გავიდა. სტარტიდან ფინიშამდე, სულ რაღაც ათიოდე წუთის განმავლობაში, აშკარად იგრძნობოდა, რომ ჩემპიონს შარშანდელი პროლოგის შედეგი (გავიმეორებ — შარშან მესამე იყო) მაინცდამაინც არ აკმაყოფილებდა.

9 წუთი და 8 წამი! ერთიანად ოფლში მცურავი ამერიკელი კმაყოფილი იყო. ტურის უვერტიურა ვეტერანების გამარჯვებით დასრულდა.

### პირველი ეტაპი

192-კილომეტრიანი ტრასა ქალაქიდან კი გავიდა, მაგრამ ლუქსემბურგს მაინც ვერ გასცდა. პელოტონი კარგა ხანს მშვიდად მიიზლაზნებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე. კადრები ჩვეულებრივი, ნამდვილევროპული იყო. არც ერთი მეტრი გამოუყენებელი მიწა, ირგვლივ წესრიგი და სილამაზე, აუარება ხალხი — გზისპირებზე, ავტომობილებში, საკუთარი ფერმების წინ... და პელოტონი, ვეებერთელა ჭრელი გველივით გაწოლილი... ამ სურათის შემყურე კაცი აუცილებლად დაიჯერებდი — ტურმა დიდი ინდურაინის შემდეგ, როგორც იქნა, იპოვა მამასახლისი, პატრონი, რომლის ნების გარეშე ვერც შეტევა განხორციელდება და ვერც ნაბიჯს აუჩქარებს ვინმე — 189 კაცი იმ სიჩქარით ივლის, როგორსაც პატრონი, ესე იგი, არმსტრონგი და მისი „პოსტალი" ისურვებენ. 1995 წლიდან მოყოლებული სპეციალისტთა ნაწილი უნისონში წუწუნებდა, პელოტონი უპატრონოდ არის დარჩენილი, პელოტონს პატრონი სჭირდებაო, რაც ჩვეულებრივი მოკვდავის ენაზე იმას ნიშნავდა, რომ ტურ დე ფრანსში ბარდაკია. ძვირფასო მკითხველო, ვითომ არ ჰგავს ეს ყველაფერი ჩვენში ბოლო წლებში ყბადაღებულ სტაბილიზაციის თემატიკას? სპეციალისტთა იმ ნაწილისა არ ვიცი, მაგრამ ტურ დე ფრანსის მაყურებელს (და, სხვათა შორის, ჩვენს მოქალაქეებსაც) ვიღაცის ნებასურვილით მოძრავი უსიცოცხლო პელოტონის ცქერით რომ მოქნარება ეწყება, ნაღდი ამბავია. მოსაწყენი რომ არაფერი ვარგა, ველომრბოლელებმაც მშვენივრად იციან — ამრევებს და ავანტიურისტებს კი რა გამოლევს ქვეყანაზე. ესეც არ იყოს, ცოცხალი, რისკის მოყვარული კაცი მშვიდად ვერ იჯდება ხუთი საათის განმავლობაში და დაიწყო კიდეც ტურ დე ფრანსი...



REUTERS ლუქსემბურგიდან

ლიდერის მაისურა პირველ ეტაპზე რუბენს ბერტოლატიმ მოირგო

პირველი შეტევა სამმა სრულიად უცნობმა სპორტსმენმა განახორციელა. მეორე შეტევის ავტორები შედარებით სერიოზული ხალხი იყო „კოფიდისიდან" და „ლოტოდან". და აი, აქ არ ვიცი, ყვითელი მაისურის შენარჩუნებას შეეცადა თუ უჩინოთა გამოწვევა იწყინა, ჩემპიონი გაქცეულებს შეუერთდა. ფინიშამდე 40 კილომეტრი იყო დარჩენილი და საეჭვო იყო, რომ ათკაციანი ჯგუფი, რომელშიც რამდენიმე სულაც არ ფიქრობდა ჭაპანის უწევას, ბოლომდე გაძლებდა. ასეც მოხდა. 5-კილომეტრიანი დევნის შემდეგ გაქცეულები პელოტონის წიაღში დააბრუნეს. თუმცა ველოსპორტის მოყვარულთა გასახარად ერთ-ერთი ასეთი ყოველგვარი კანონის საწინააღმდეგო ამბოხი მაინც წარმატებით დასრულდა. მისი ავტორი იტალიური წარმოშობის შვეიცარიელი რუბენს ბერტოლატი იყო. ლიდერის მაისურა და ეტაპზე გამარჯვება მისი და მისი გუნდის „ლამპრეს" საკუთრებად იქცა.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### პროლოგი. 7 კმ ლუქსემბურგი

1. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) — 9,08 წთ
2. ლორან ჟალაბერი (CSC — ტისკალი, საფრანგეთი) — 9,10
3. რაიმონდას რუმსასი (ლამპრე, ლიტვა) — 9,11
4. სანტიაგო ბოტერო (კელმე, კოლუმბია) — 9,12
5. დევიდ მილარი (კოფიდისი, დიდი ბრიტანეთი) — 9,13
6. ლორან ბროშარი (ჟან დელატური, საფრანგეთი) — 9,14

### I ეტაპი. 192,5 კმ ლუქსემბურგი

1. რუბენს ბერტოლატი (ლამპრე, შვეიცარია) — 4 სთ, 49 წთ, 16 წმ
2. ერიკ ზაბელი (ტელეკომი, გერმანია) — იგივე დრო
3. რობი მაკიუენი (ლოტო, ავსტრალია) — იგივე დრო



GOLDEN LEAGUE

## ოქროს ლიგა. პარიზი 5 ივლისი

# პარიზი გრილი და გრინი



REUTERS პარიზიდან

მოულოდნელი ჯანა პიტმენი

**პარიზში** წვიმდა და ციოდა, მაგრამ „სტად დე ფრანსზე" შეკრებილი 35 ათასი ქომაგიდან ბოლო გარბენამდე შინ წასვლა არავის უფიქრია.

ცხადია, რატომაც — სეზონის მეორე ოქროლიგობანაზე ჩასული მძლეოსნები საბაზუსო ტაროსს არ შეპუებიან და ისე გაირჯნენ, როგორც რომ ამას ასპარეზობის მნიშვნელობა და ადგილის მუღამი მოითხოვდა.

კვლავ იჩაუქა და ფინიშის ხაზთან პირველად მივარდნის სიტკბო არავის დაანება მარიონ ჯონსმა, ვინაც საკუთარსავე სეზონის საუკეთესო შედეგს წამის მეასედი დააკლო, რათა წამზომი 10,89-ზე შეეყენებინა.

გრიგალივით მიჰქროდაო, ასე შეაქო იგი ადგილობრივთა იმედმა, მიურიელ ჰარტისმა, ორი კვირის წინ გასრულებულ ევროთასზე 100 და 200-მეტრიან მანძილებზე ბადალი რომ არ ჰყავდა და ამჯერად მხოლოდ ბითურ მეოთხე ადგილს რომ დასჯერდა 11,06-წამიანი მაჩვენებლით.

ეს ყველაფერი თქვენი ბრალიაო, ჩვენს იქაურ კოლეგებს მიმდგარა თურმე მარიონი — გოგო არნახულ წნეხში მოაქციეთ და მაგ დროს სირბილი კი არა, აღარაფერი აღარ გინდაო. მიურიელს ძალიან პატივს ვცემ და დარწმუნებული ვარ, მეტის ჩვენებაც შეუძლიაო.

„მეტის ჩვენება" ფრანგმა გოგომ იქვე 200 მეტრზე ინდომა, მაგრამ პირველი წარმატება ამჯერადაც ამერიკელისგან წაეშურდა — კელი უაიტს ჩამორჩა.

სეზონის საუკეთესო შედეგი მოინაგრა დიადმა მაროკოელმა ჰიშამ ელ გერუჯიმ — კილომეტრნახევარი 3 წუთსა და 29,96 წამში მოითავა.

ვამაყობ, რადგან ურთულესი რბოლა იყო და ბარაქიანად გვაწვიმდაო, იძახდა მერე სამგზის მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდოსანი.

ასევე საუკეთესო შედეგს შესწვდა რეკორდოსანივე (18,29 მეტრი) ბრიტანელი სამხტომი ჯონათან ედვარდსიც, რომელიც მეოთხე ცდამდე შვედ კრისტიან ოლსონს მისდევდა კუდში და მერე ისეთი გადაიშლიგინა, რომ 17,75-მეტრიან ნიშნულამდე უწია.

ძალიან ძლიერი მეტოქე მყავსო, აქებდა ოლსონს ნასამხტომევს.

მერე კი იყო კაცთა ასმეტრობა, სადაც მილეთი ამერიკელთა — მორის გრინისა და ტიმ მონტგომერის პაექრობას გამოელოდა.

გრინი წინა ორ კვირაში ორჯერ ძლეულიყო — ოსლოურ ოქროლიგობანასა და შეფილდურ გრან პრიზე — და ორჯერვე ბრიტანელი დუეინ ჩემბერსის მიერ. ამჯერად ჩემბერსს შინ დარჩენა გადაეწყვიტა, აქაოდა, ნატკენ მხარს მოვიშუშებო და, მისი არყოფნა იყო თუ სხვა რამ, გრინმა მართლაც კაცურად ირბინა — ყველას აჯობა და ნაფინიშხაზევს ტაბლოზე 9,99 წამი აანთო.

მონტგომერი, რომელიც სეზონის დასაწყისში გრინს მსოფლიო რეკორდის (9,79 წამი) წართმევას ჰპირდებოდა, მხოლოდ მეოთხე გახლდათ.

წარმატების მორიგი ულუფა მიითვალა 35 წლის გეილ დივერსმა — სათარეჯრბენო 100 მეტრზე მის მიერ ნაჩვენებ 12,56 წამს ვერავინ გაეღავა. 110 მეტრზე კაც მეთარეჯრბენეთა შორის დივერსის დარად აქაც კუბელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანიერ გარსიამ იპირველა (13,14). ბრიტანელი კოლინ ჯეკსონი, ვაგლახ, მეოთხე ადგილს დასჯერდა.

400 მეტრზე თარეჯრბენი დომინიკანელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ფელიქს სანჩესმა მოიგო 47,91 — წინა საშაბათს ლოზანაში ნახეირები ბრიტანელი ქრის როულინსონი 48,26 წამით მეორე იყო.

საღამოს ერთი უმთავრესი მოულოდნელობა 19 წლის ავსტრალიელმა 400 მეტრზე მოთარეჯრბენე გოგომ, ჯანა პიტმენმა გააზერხა, როცა იამაიკელ მსოფლიო ჩემპიონ დონ ჰემინგს წამის 6 მეასედით უყელა — 54,58.

მასპინძელთა გული კი მეჭოკე რომენ მეზნილმა მოიგო, ვინაც ზედ პარიზული თავშეყრის წინ დაშავებულ თვისტომს, 1996 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ ჟან გალფიონეს ჩაენაცვლა და პირველი ფრანგი მძლეოსანი გახდა, ვისაც კი ოდესმე ოქროლიგურ სარბიელზე გამარჯვება გამოსვლია.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS პარიზიდან

მორის გრინი 100 მეტრზე სამი ცხრიანის მერე

#### ვაჟები

| 100 მეტრი | |
|---|---|
| 1. მორის გრინი (აშშ) | 9,99 წამი |
| 2. ბერნარდ უილიამსი (აშშ) | 10,03 |
| 3. მარკ ლუის-ფრენსისი (ბრიტანეთი) | 10,04 |
| **110 მეტრი თარეჯრბენი** | |
| 1. ანიერ გარსია (კუბა) | 13,14 წამი |
| 2. ტერენს ტრემელი (აშშ) | 13,28 |
| 3. იუნიელ ერნანდესი (კუბა) | 13,42 |
| **სამხტომი** | |
| 1. ჯონათან ედვარდსი (ბრიტანეთი) | 17,75 |
| 2. კრისტიან ოლსონი (შვედეთი) | 17,60 |
| 3. ალექსანდერ მარტინესი (კუბა) | 17,32 |
| **ჭოკით ხტომა** | |
| 1. რომენ მეზნილი (საფრანგეთი) | 5,65 |
| 2. ალექსანდრ ავერბუხი (ისრაელი) | 5,55 |
| 3. ნიკ ჰაისონგი (აშშ) | 5,55 |

#### ქალები

| 100 მეტრი | |
|---|---|
| 1. მარიონ ჯონსი (აშშ) | 10,89 წამი |
| 2. ტანია ლოურენსი (იამაიკა) | 11,04 |
| 3. კრისტი გეინსი (აშშ) | 11,06 |
| **200 მეტრი** | |
| 1. კელი უაიტი (აშშ) | 22,56 |
| 2. მიურიელ ჰარტისი (საფრანგეთი) | 22,74 |
| 3. ჯულიეტ კემპბელი (იამაიკა) | 23,09 |
| **100 მეტრი თარეჯრბენი** | |
| 1. გეილ დივერსი (აშშ) | 12,56 |
| 2. ანჯანეტ კირკლენდი (აშშ) | 12,63 |
| 3. ბრიჯიტ ფოსტერი (იამაიკა) | 12,68 |
| **სიმაღლეზე ხტომა** | |
| 1. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) | 1,97 |
| 2. ჰესტრი კლუტე (სამხრეთ აფრიკა) | 1,95 |
| 2. მარინა კუპცოვა (რუსეთი) | 1,95 |

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ფორმულა 1. მსოფლიოს ჩემპიონატი. მეათე ეტაპი

# სუპერ მიხაელი! 60! 107!

**მიხაელ შუმახერს** ინგლისში გუშინწინ თავის მე-11 გაჯირითებამდე „სილვერსტოუნთან“ რთული ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდა — დიდი გერმანელი იქ ყოველ მეორე რბოლაში უქულოდ რჩებოდა. 1994 წელს წესის დარღვევით გასწრებისთვის დისკვალიფიკაცია მიესაჯა და მეორე ადგილი ჩამოართვეს. ხუთი წლის შემდეგ კი კარიერაში უმძიმესი ავარია შეემთხვა. პირველივე წრეზე „ფერარის“ მუხრუჭებმა უმტყუნა და ტრასიდან ტყვიასავით გატყორცნილი ბოლიდი დამცავ საბურავებში ცხვირით შეერჭო. მიხაელი ასეთ ფათერაკს იოლად — მხოლოდ ფეხის მოტეხვით და ექვსი ეტაპის გამოტოვებით გადაურჩა.

ბუნებრივია, ყოველივე ამის გათვალისწინებით მას „სილვერი“ სხვა ტრასებთან შედარებით ნაკლებად ეხატებოდა გულზე. გასულ კვირას ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა — მიხაელმა თავისი ფანტასტიკური ბოლიდით საათნახევრიანი უმძიმესი რბოლა ისე წარმართა, იოტისოდენადაც არ შემცდარა და ურთულეს მეტეოსიტუაციაში გამარჯვებით, ბუნებრივია, გამორჩეულად გაიხარა. აკი აღნიშნა კიდეც საპოდიუმო შამპანურის შემდგომ პრესკონფერენციაზე წლეულს ჩემთვის ეს მეშვიდე დიდი პრიზი კია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანიო.

ჯერ როგორც წესია, კვალიფიკაციაზე ვთქვათ. შაბათის, ანუ საპოულე ჩემპიონი წლეულს ზედიზედ მეოთხედ ხუან პაბლო მონტოია გახდა, მაგრამ ასევე ტრადიციულად რბოლაში პირველობა ვერც ამჯერად შეძლო. კოლუმბიელმა ხუთკილომეტრიანი წრე ერთ წუთსა და 18,998 წამში გაიქროლა 234,3 კმ/სთ საშუალო სიჩქარით და მიხაელის შარშანდელ მიღწევას წამნახევარი ჩამოაჭრა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ მონტოიამ მეორე-მესამე ფერარელებს შუმახერსა და რუბენს ბარიკელოს უმცირესით, წამის სამი-ოთხი მეასედით აჯობა. მომდევნო ადგილებზე დადგნენ რალფ შუმახერი, კიმი რაიკონენი და დევიდ კულტჰარდი. მალაიზიელმა ალექს იონგმა წლეულს უკვე მეორედ ვერ მიიღო რბოლაში მონაწილეობა უსახური კვალიფიკაციის გამო, პოულის მომგებთან თითქმის ექვსი წამით უარესი შედეგი აჩვენა და 107-პროცენტიან ლიმიტში ვერ ჩაეტია.

აქვე ვიტყვით, რომ წრის რეკორდი რბოლაშიც გაუმჯობესდა. მიკა ჰაკინენის შარშანდელი მიღწევა კვირას ფინიშამდე ორი წრით ადრე დაემხო და ამიერიდან 222,7 კმ/სთ-ია, ფინელი ორგზის ჩემპიონის ცოდვა კი ბარიკელომ დაიდო.

ინგლისელი სინოპტიკოსები შაბათ-კვირას გრილ და მოღრუბლულ, თუმც მშრალ ამინდს ვარაუდობდნენ. პროგნოზი სანახევროდ გამართლდა, შაბათს კვალიფიკაციისას არ გაწვიმებულა, რბოლაც თავიდან ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა, მერე კი...

სტარტი რბოლის ყველაზე რთული, ნერვული და საპასუხისმგებლო პროცედურაა. პილოტები უსწრაფესად უნდა მოსწყდნენ ადგილს და ხუთიოდ წამში, პირველივე მოსახვევთან, პოზიციის გაუმჯობესებაც სცადონ. ბარიკელოს აზრით, სტარტი ფეხბურთში მატჩისშემდგომი პენალტების სერიასთანაა შესადარებელი — შედეგს მოულოდნელად, ბოლოს გაიგებო.

მანამდე კი სწორედ რუბენსი დაზარალდა — გასახურებელ წრეზე მას „ფერარი“ გაუჯიუტდა და ადგილიდან ფეხი არ მოიცვალა. „სკუდერიის“ მექანიკოსებმა მანქანა მალე დაქოქეს და ბრაზილიელიც გამოთიშვას გადაურჩა, მაგრამ რბოლის დაწყება ბოლო, 21-ე პოზიციიდან მოუხდა.

დასაწყისი მშვიდობიანი გამოვიდა, ხიფათს არავინ გადაჰყრია, ალან მაკნიშის ბოლიდის გაჯიქებას თუ არ ჩავთვლით. მონტოიას ლიდერობას ვერავინ შეეცილა, დიდ-პატარა შუმახერები უკან გაჰყვნენ, მერე რაიკონენის და კულტჰარდის „მაკლარენები“. რაც შეეხება ბარიკელოს, მისი ბოლო სასტარტო პოზიცია, ცხადია, თავიდანვე წამგებიანი კი იყო, მაგრამ რბოლის წინ დამუშავებული სტრატეგიული გეგმის თანახმად, რაკი ბრძოლა მეტ პიტსტოპზე გათვლილი, საწვავნაკლული მსუბუქი მანქანით დაიწყო, დაფეთებული მოსწყდა ადგილს და პირველივე წრეზე ხუთ წინ მდგომს ადვილად აუარა გვერდი.

რუბენსმა მესამე წრეზე კიდევ ორნი — ირვინი და ბერნოლდი მოინელა და მე-13 გახდა, ხუთი წრის შემდეგ კი უკვე ათეულში აღმოჩნდა. იმავდროულად მიხაელ შუმახერმაც სცადა მონტოიაზე იერიშის მიტანა, მაგრამ ხუანმა მოახერხა სალიდერო პოზიციის დაცვა, ამჩატებული რუბინიო კი მალე ორ მორიგ მსხვერპლს გაუსწორდა და მერვე გახდა.

ოცბოლიდიანმა ქარავანმა სულ რაღაც 60-იოდე კილომეტრის გავლა მოასწრო, როცა, სახელგანთქმული ინგლისელი სინოპტიკოსების სამარცხვინოდ, კოკისპირულად გაწვიმდა და მონასტერიც აირია — პილოტები ერთმანეთს ბოქსებში შესვლას არ აცლიდნენ, რადგან სველ გზაზე მანქანები მთვრალებივით ბარბაცებდნენ და აუცილებელი იყო საწვიმარ „ფეხსაცმელზე“ გადასვლა. მალე გამოდარების იმედით მხოლოდ „მაკებს“ არ შეუცვლიათ საბურავები, რაც აშკარად არასწორი ტაქტიკური სვლა გამოდგა. პირველად მონტოიამ და მიხაელმა მიაკითხეს ბოქსებს, ლიდერობა კი გაჯიუტებულ კულტჰარდს ერგო, თუმც მხოლოდ ორიოდ წუთით — ტრასაზე დაბრუნებისთანავე „უილიამსმაც“ და „ფერარიმაც“ ისე იოლად გაუსწრეს შოტლანდიელს, თითქოს ადგილზე მდგარიყოს. კულტჰარდმა ორიოდე წრე კიდევ იცადა და მერულა ეწვია ბოქსებს, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო.

ბედად, სლიკინა ასფალტზე ავარია არ მომხდარა, გასწრებ-გამოსწრება კი იმდენი, ნახევარ ჩემპიონატს ეყოფოდა, მით უფრო, რომ „სილვერსტოუნის“ ფართო და სწრაფი მონაკვეთები მანევრირების მშვენიერ საშუალებას იძლევა, მთავარია, ძრავა იყოს ჯანზე.

მიხაელმა მე-16 წრეზე, მორიგი შეტევისას, მცირე შეცდომაზე დაიჭირა მონტოია და ადვილად აუარა გვერდი. იქვე ბარიკელო ახალი საბურავებით მორიგი გმირობის შემდეგ მესამე გახდა კოლუმბიელის უკან. ტყუილად ხომ არ ამბობენ ჭამაში მადის მოსვლაზე, რუბენსმა მალე ხუანსაც შეუტია და ხუთიოდ წუთში ფანტასტიკური „ბრიჯსტოუნის“ საბურავების დახმარებით კოლუმბიელს უპრობლემოდ გაასწრო.

ჭირვეულმა ბრიტანულმა ამინდმა კიდევ ორჯერ აიძულა მრბოლელები საბოქსე მანიპულაცია შეესრულებინათ და ცხადია, მოგებაც იმას დარჩა, ვინც საამისოდ უკეთ იყო მზად. ფერარელებმა მშრალზეც და სველზეც მეტოქეებს შანსი არ დაუტოვეს და მეტი პიტსტოპის მიუხედავად, უზარმაზარი უპირატესობით გაიმარჯვეს. მონტოიას უწყვეტობა რასაკვირველია, ნაწვიმარზე „მიშლენის“ საბურავების უხეირობის შედეგიცაა.

ფინიშზე კი „სკუდერიაზე“ არანაკლებ ხარობდა BAR-იც. როგორც იქნა, უიმედო აუტსაიდერმა წლეულს პირველი ქულები მოიპოვა, თანაც ერთდროულად ორივე პილოტი აღმოჩნდა ჩასათვლელ ექვსეულში.

რაც შეეხება გამარჯვებულებს, მიხაელმა და რუბენსმა ბრწყინვალე, უნაკლო რბოლა წლეულს უკვე მეოთხე დუბლით აღნიშნეს. შედეგად, მდევრებთან შუმახერის ისედაც არანორმალური უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. ალბათ, სწორედ ამ ვეებერთელა, 54-ქულიანი სხვაობის გამო ორი კვირის მერე მორიგ საფორმულო ეტაპს საფრანგეთში უამრავი გულშემატკივარი მიაწყდება, რათა საკუთარი თვალით იხილონ ვადამდე კარგა ხნით ადრე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის დაბადება. საამისოდ მიხაელს შესაძლოა სამეორეადგილო ექვსი ქულაც ეყოს.

ბოლოს იმაზე, რომ გუშინწინდელი გამარჯვება ზესაიუბილეო, მე-60 იყო მიხაელ შუმახერის ფანტასტიკურ კარიერაში. ამასთან, მან ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტის 106-პოდიუმიანი რეკორდიც დაამხო. ორივე ამ მიღწევაზე ვრცლად ხვალინდელ „სარბიელში“.

**გია ახალაძე**



REUTERS სილვერსტოუნიდან

მიხაელ შუმახერის ბოლიდის ღმუილი ფერარელთა ჟივილ-ხივილმა გადაფარა: ესეც მე-60 ტრიუმფი!

### რბოლის შედეგები

**დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი**

7 ივლისი. სილვერსტოუნი

დისტანცია 60 წრე — 308,460 კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:31.45,015 (201,649 კმ/სთ) |
| 2. ბარიკელო (ფერარი) | ჩამორჩა 14,578 |
| 3. მონტოია (უილიამსი) | 31,661 |
| 4. ვილნევი (BAR) | 1 წრით |
| 5. პანი (BAR) | 1 წრით |
| 6. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 7. ფიზიკელა (ჯ. ორდანი) | 1 წრით |
| 8. რ. შუმახერი (უილიამსი) | 1 წრით |
| 9. მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 10. კულტჰარდი (მაკლარენი) | 2 წრით |
| 11. დე ლა როსა (იაგუარი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| 12. ბატონი (რენო) | გაიარა 54 წრე |
| სატო (ჯორდანი) | 50 |
| რაიკონენი (მაკლარენი) | 44 |
| ტრული (რენო) | 29 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 28 |
| ირვინი (იაგუარი) | 23 |
| ფრენცენი (ეროუსი) | 20 |
| სალო (ტოიოტა) | 15 |
| ვებერი (მინარდი) | 9 |
| მაკნიში (ტოიოტა) | 0 |
| იონგი (მინარდი) რბოლაში არ დაუშვეს (107%) | |

**საუკეთესო წრე**

ბარიკელო 1.23.083 (222,760 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 3 მარტი | მალაიზია 17 მარტი | ბრაზილია 31 მარტი | სან მარინო 14 აპრილი | ესპანეთი 28 აპრილი | ავსტრია 12 მაისი | მონაკო 26 მაისი | კანადა 9 ივნისი | ევროპა 23 ივნისი | დ.ბრიტანეთი 7 ივლისი | საფრანგეთი 21 ივლისი | გერმანია 28 ივლისი | უნგრეთი 18 აგვისტო | ბელგია 1 სექტემბ. | იტალია 15 სექტემბ. | აშშ 29 სექტემბ. | იაპონია 13 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 4 | 10 | 10 | 10 | 10 | 6 | 10 | 6 | 10 | | | | | | | | 86 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | – | – | – | 6 | – | 6 | – | 4 | 10 | 6 | | | | | | | | 32 |
| 3 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 6 | 6 | 2 | 3 | 6 | 4 | – | – | – | 4 | | | | | | | | 31 |
| 4 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | – | 10 | 6 | 4 | – | 3 | 4 | – | 3 | – | | | | | | | | 30 |
| 5 კულტჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | – | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 6 | – | – | | | | | | | | 26 |
| 6 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 4 | – | – | – | – | – | – | 3 | 4 | – | | | | | | | | 11 |
| 7 ბატონი რენო, დ. ბრიტანეთი | – | 3 | 3 | 2 | – | – | – | – | 2 | – | | | | | | | | 10 |
| 8 ფიზიკელა ჯორდანი, იტალია | – | – | – | – | – | 2 | 2 | 2 | – | – | | | | | | | | 6 |
| 9 ჰაიდფელდი ზაუბერი, გერმანია | – | 2 | – | – | 3 | – | – | – | – | 1 | | | | | | | | 6 |
| 10 ტრული რენო, იტალია | – | – | – | – | – | – | 3 | 1 | – | – | | | | | | | | 4 |
| მასა (ზაუბერი) — 4, ირვინი (იაგუარი), ვილნევი (BAR) — 3, ვებერი (მინარდი), სალო (ტოიოტა), ფრენცენი (ეროუსი), პანი (BAR)— 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 10 | 4 | 10 | 16 | 10 | 16 | 6 | 14 | 16 | 16 | | | | | | | | 102 |
| 2 უილიამსი | 6 | 16 | 8 | 7 | 6 | 7 | 4 | – | 3 | 4 | | | | | | | | 57 |
| 3 მაკლარენი | 4 | – | 4 | 1 | 4 | 1 | 10 | 9 | 4 | – | | | | | | | | 37 |
| 4 რენო | – | 3 | 3 | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | | | | | | | | 14 |
| 5 ზაუბერი | – | 3 | – | – | 5 | – | – | – | 1 | 1 | | | | | | | | 9 |
| ჯორდანი — 6; BAR — 5; იაგუარი — 3; მინარდი — 2; ტოიოტა — 2; ეროუსი — 2 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |




REUTERS უიმბლდონიდან

# ბოლო დღე

ეს უიმბლდონის კვირადღე ხომ ამბავია და ამბავი: კენტის ჰერცოგი დიდი სერიოზულობით სცემს ტაშს, ბარონესა ტეტჩერიც აქაა თავის ქმარ დენისთან ერთად და პოლ მაკარტნიც ჩამომჯდარა ახალშერთულ ჰეტერის გვერდით. კორტზე ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი და არგენტინელი დავიდ ნალბანდიანი ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ რახან საქმე ინგლისში ხდება, სტრიკერიც, ანუ მინდორზე დედიშობილად გამოვარდნის მოყვარე ვინმეც აქაა.



REUTERS უიმბლდონიდან



REUTERS პამპლონიდან

# პამპლონა

კვირას სან ფერმინი გახურდა. ყველამ იცის, რაცაა ეს ამბავი: პამპლონას ქუჩებში გაგიჟებულ ხარებს გამოირეკავენ და ჩაუქი და მარდი ადამიანები მათ წინ რბიან. დაშავებულებს და ფერდშელეწილებს ვინღა ჩივის, მსხვერპლიც არცთუ იშვიათია. აგერ, ამ უქმეებზეც სამი ადამიანი შეეწირა პამპლონურ სიგიჟეს.




REUTERS პამპლონიდან



REUTERS ლუქსემბურგიდან

# დღე პირველი

გახურდა 89-ე ტურ დე ფრანსი და ტურის ზედიზედ სამჯერ მომგები ამერიკელი ლენს არმსტრონგიც რბოლაში ჩაება. მან პროლოგის გამოცდა კარგად გაიარა და ლიდერის ყვითელი სამოსიც მოირგო. ლენსს ისიც მოუსწრია, რომ ფინიშის ხაზთან მომლოდინე თავის ტყუპ ქალიშვილსა და ვაჟ ლუკს მოფერებოდა.

# ჯორჯბუშები

მეინის შტატში მოკლე შვებულებით ჩასულა ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უმცროსი და კენებუნკპორტის გოლფის მინდვრებზე გაულაღია. იქ კი დახვედრია ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უფროსი და იმასაც ყვანჯისთვის მოუკიდია ხელი. აი, მამა და შვილი. როგორც ერთ ძველ ქართულ ფილმშია, ნუთუ შესაძლებელია, რომ ერთ სოფელში ცხოვრობდეს ორივე მარინე, ორივე გიორგის ასული, ორივე ფერაძე და ორივე სოციალისტური შრომის გმირი.



REUTERS კენებუნკპორტიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჩინია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge